ლაღობა

ოთხშაბათი 15 თებერვალი 2003 №218 (1989)

ფასი 50 თეთრი

ოდესაღ ეთ ტ ტ ტ

ხუთსაათიანი ტვინის ბურღვა

გუშინ შოტლანდიის პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში ტრიბუნალი იყო — „დანდის“ სარჩელი განიხილეს „რეინჯერსის“ წინააღმდეგ.

ადრეც გაუწყეთ, რომ „დანდი“ გლაზგოელ „ჩაფრებს“ ზურაბ ხიზანიშვილში იმ საკომპენსაციო თანხაზე მეტს სთხოვდა, ვიდრე „რეინჯერსი“ გამოდიოდა. გლაზგოელები 100 000 გირვანქაზე მეტს არ იხდიდნენ. თავისებური სასამართლო პროცესი გუშინვე დამთავრდა და ზურაბ ხიზანიშვილსაც მერეღა დავურეკეთ

— ტრიბუნალზე დაახლოებით ხუთი საათი დამაყუდეს. გარჩევა დილის ათის ნახევარზე დაიწყო და სამი საათისთვის დასრულდა.

— „დანდიდან“ და „რეინჯერსიდან“ სასამართლოს ვინ ესწრებოდა?

— „დანდიდან“ დირექტორი ჯოვანი დი სტეფანო, მთავარი მწვრთნელი ჯიმ დაფი და კლუბის კიდევ ერთი წარმომადგენელი; „რეინჯერსიდან“ კი ფინანსისტი და იურისტები, რომლებიც დღეს გავიცანი.

— შენ რისთვის მიგიყვანეს ტრიბუნალზე!

— რამდენიმე შეკითხვა დამისვეს — „დანდიმ“ კონტრაქტის გაგრძელება თუ შემოგთავაზა, „რეინჯერსის“ გარდა სხვა გუნდებიდან თუ გქონდა შემოთავაზება და „დანდი“ ამას ხომ არ გიმალავდაო. მოკლედ, რამდენიმე წვრილმანი გამომკითხეს.

— რა ვერდიქტი გამოიტანა ტრიბუნალმა?

— „რეინჯერსი“ გაამართლეს — „დანდი“ დამატებით თანხას ვერ მიიღებს.

— სხვა რეინჯერსულ ამბებზე რას გვეტყვი? 26 ნოემბერს ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გადამწყვეტ შეხვედრაში „შტუტგარტს“ ეთამაშებით...

— ძალიან ძნელი მატჩი გველის. არ გვეყოლება კრისტიან ნერლინგერი — მას წვივის კუნთი გაუწყდა და ჯერაც ვერ ვარჯიშობს.

დავით თავართქილაძე



ბადრი ჯიქია/ეს ფოტო

ლატვიაში გაჩენილ ... ლი ლევან კორღალიძე და ... სასვენებლად ემზადებოდა, იქაურთა ნაკრების თავკაცმა ალექსანდრ სტარკოვმა რომ სთხოვა, პლეი ოფში თურქებს ვეთამაშებით და იქნებ ვარჯიშებზე დაგვეხმაროო. ლევანს უარი არ უთქვამს — ის და ზურაბ მენთეშაშვილი აქტიურად მონაწილეობდნენ ლატვიის ნაკრების მზადებაში.

გუშინ ლევან კორღალიძეს რიგაში დავუკავშირდით. ჩვენი საუბარი, ცხადია, მარტო ფეხბურთით არ შემოიფარგლა...

კორღალიძე ემრეს როლში შევიდა

— შვებულებაში ვარ და სანამ ახალ სეზონზე ფიქრს დავიწყებდე, ვცდილობ, ცოტა დავისვენო.

— ამას კი ლატვიელები არ „გაცლიან“...

— ჰო, ამათი ნაკრები თურქეთთან მატჩისთვის ემზადება და მწვრთნელმა მე და ზურაბ მენთეშაშვილი გუნდთან ერთად სავარჯიშოდ მიგვიწვია. ალექსანდრ სტარკოვის აზრით, ჩვენ, ქართველები, თურქებს სათამაშო მანერით ვგავართ. ორმხრივი თამაშისას მე, ასე ვთქვათ, ემრე ვიყავი, „მენთეშა“ — ბაშთურქი. საინტერესო და სახალისო იყო.

— შეძელი ემრეობა?

— მგონი, გადავაჭარბე კიდეც. რა მენაღვლებოდა, თამაშის დროს ბურთს გავიგდებდი და არავის ვუთმობდი. დავრბოდი მთელ მოედანზე და „ვმატაობდი“. ამაზე მეორე მწვრთნელმა მითხრა, შენ ემრედ ყოფნა გთხოვეს და უფრო უკეთ ნუ თამაშობო. ბიჭები კინაღამ სიცილით დაიხოცნენ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ საქართველოში მიმდინარე ამბებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა...

— ახლაც ტელევიზორში ვუყურებ მანდაურ ამბებს. ქუჩაში გამოსული ამდენი ხალხი არ მინახავს. გაოგნებული ვარ. ძალიან მწყდება გული, რომ ქვეყანას ასე უჭირს. აშკარაა, ხალხს მეტის მოთმენა აღარ შეუძლია.

— ლატვიური მასმედია როგორ აშუქებს ქართულ ამბებს?

— უფრო ქართული და უცხოური არხებით ვიგებ ყველაფერს. ამათ ბევრი არც იციან. მე მეკითხებიან, რა ხდებაო.

— მერე რას პასუხობ?

— პრეზიდენტის გადადგომა უნდათ-მეთქი. ამათ ხომ ვერ წარმოუდგენიათ, საქართველოში ხალხს როგორ უჭირს.

— ჩამოსვლას არ აპირებ?

— ოჯახი თბილისში მყავს და მოვდივარ კიდეც. ლატვიელები მეკითხებიან, შინ მიდიხარ თუ ომშიო. გული მწყდება, რომ საქართველოზე ასეთი შთაბეჭდილება აქვთ, მაგრამ რეალობა ასეთია.

ძახა შალამბერიძე

დავით მუჯირს ტელევიზორთან ეჩქარება

გრაცის „შტურმი“ ავსტრიული მაქსბუნდესლიგის აუტსაიდერია. ამას ვერც ავსტრიელები იჯერებენ – ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ჯლუბი ლიგაში დასარჩენად იბრძვის. ცუდად მისდის საქმეები „შტურმის“ ქართველ ნახევარმცველ დავით მუჯირსაც, რომელმაც ძირითადი შემადგენლობის ადგილი დაკარგა და რა ხანია, მოედანზე არ გასულა.

გუშინ დავით მუჯირს გრაცში შევეხმიანეთ...

— წელს სამი ტური დაგვრჩა და ყველანაირად ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ქულა დავაგროვოთ. მერვე ადგილი „შტურმისთვის“ სირცხვილია. ამდენ წარუმატებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

— რატომ არ თამაშობ?

— არ ვიცი. რატომღაც ბოლო ხანს მწვრთნელის სქემაში ვერ ვჯდები. ზუსტი მიზეზი ნაღდად არ ვიცი. თითქოს მწვრთნელი თავიდან მენდობოდა, მაგრამ ახლა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მიწევს. არადა, ვთვლი, რომ კარგ ფორმაში ვარ. არც ტრავმა მაწუხებს და სათამაშოდაც მზად ვარ, მაგრამ ამის საშუალება არ მეძლევა.

— მიზეზის გაგებას არ აპირებ?

— ახლა ამაში ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ. სამი ტური დარჩა და არა მგონია, მწვრთნელთან სალაპარაკოდ შესაფერისი დრო იყოს. მით უმეტეს, ახლა გუნდს ძალიან უჭირს. ჩემპიონატის განახლებას დაველოდები და მერე გამოჩნდება, რა უნდა გავაკეთო.

— გამოდის, რომ ეს სეზონი ჩააგდე...

— გეთანხმები. ცუდი სეზონი გამომივიდა. თავიდანვე ამერია საქმეები, რთული ტრავმა მქონდა და ამან დიდი დრო წამართვა. მერე ახალი მწვრთნელი დაგვინიშნეს, მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა, რის გამოც უთამაშებელი დავრჩი.

— როგორ ფიქრობ, რა არის „შტურმის“ წარუმატებელი თამაშის მიზეზი?

— ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ. ბევრი თამაში წავაგეთ, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი მწვრთნელების ხშირი ცვლაა. მოკლე დროში სამი მწვრთნელი გამოვიცვალეთ, რაც შედეგებზეც აისახა. ყველას თავისი სათამაშო კონცეფცია ჰქონდა და მის გადმოტანას აპირებდა კლუბში, ამან გუნდი მოშალა. ექსპერიმენტებს წაგებები მოჰყვა და ახლა გავარდნის საშიშროება გვემუქრება.

— ნაკრებზეც ვთქვათ. მალე ალბათ უცხოელი მწვრთნელი გვეყოლება. გვეშველება ამით რამე?

— რა თქმა უნდა, უცხოელი მწვრთნელი საჭიროა. ეს ერთ-ერთი აუცილებელი რამაა. ოღონდ იმას სულაც არ ვფიქრობ, რომ უცხოელი მწვრთნელი თუ გვყავს, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით. ამას ხომ არავინ დაიჯერებს. უბრალოდ, მხოლოდ უცხოელი მწვრთნელი ბევრს ვერაფერს გვიშველის. კიდევ უამრავი რამეა მოსაგვარებელი.

— კერძოდ?

— ჩემი მხრიდან ამაზე ლაპარაკი ძნელია. ნაკრებში მხოლოდ ორჯერ ვითამაშე და ვთვლი, რომ ასეთი რჩევების მიცემის უფლება არც მაქვს. ფაქტი ერთია: ნაკრებს მწვრთნელის გარდა კიდევ ბევრი რამ სჭირდება. მეტს აღარ დავამატებ.

— საქართველოში რაც ხდება, გეცოდინება...

— რა თქმა უნდა, ვიცი. მიჭირს კომენტარის გაკეთება. ტელევიზორში ვუყურებ, რაც ხდება და გული მწყდება. შეთანხმების გარეშე ხალხი დაიჩაგრება. საქართველო არ იმსახურებს ამას. ხალხი ცოდოა. ყოველ წუთს ველოდები ახალ, კარგ ამბავს საქართველოდან. იმედი მაქვს, მალე სიმართლე გაიმარჯვებს. ქართველებს ასეთი რია-რია არ გვეკუთვნის.

— ავსტრიაში რა გამოხმაურება არის?

— საინფორმაციო პროგრამებში ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა. ყველამ იცის, რაც ხდება თბილისში. რომ გაიგებენ, ქართველი ვარ, მაშინვე მეკითხებიან, შენც დედაქალაქელი ხარო? მერე ათას კითხვას მისვამენ. მეც ვარჯიშიდან როგორც კი ვბრუნდები, მაშინვე ტელევიზორს ვრთავ.

— თანაგუნდელები რას გეუბნებიან?

— ყველამ იცოდა, რომ შვებულების გატარებას საქართველოში ვაპირებდი, მაგრამ როცა ეს ამბები გაიგეს, გაკვირვებულებმა მკითხეს, იქ ჩასვლას აპირებო? ახლა არც ვიცი, რა ვქნა. იმედი მაქვს, აქცია მხოლოდ მშვიდობიანი იქნება. სისხლისღვრა დაუშვებელია.

ძახა შალამბერიძე

ჰოლანდია

II დივიზიონი, XV ტური

ვენლო 4:3 იგლსი
კამბური 1:3 მაასტრიხტი
ეინდჰოვენი 0:0 დორდრეხტი
ოსი 0:4 სპარტა
ეინდჰოვენი 0:0 გრაავსხაპი
ჰერაკლესი 4:0 ჰაარლემი
ტელსტარი 4:2 სიტარდი
აპელდორნი 2:2 ჰელმონდი
ეძელსიორი 0:0 დენ ბოსხი

ირლანდია

პრემიერლიგა, XXXIV ტური

ბოჰემიანსი 0:1 შელბურნი
კორკ სიტი 1:0 დერი სიტი
შემროკი 1:1 უოტერფორდი
დუბლინი 2:1 დროჰედა
ლონგფორდი 2:0 სენტ პატრიკსი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა, გადადებული მატჩი

დიორ ეტო 2:2 ვიდეოტონი

ბელგია

თასის I ეტაპი

ბეერსხოტი 4:1 დაინცე
ვონსი 2:3 დენდერჰოუტერნი

ინგლისი

კონფერენსლიგა, XVIII ტური

ბარტონი 2:2 ჰალიფაქსი

შოტლანდია

I დივიზიონი, XIII ტური

კლაიდი 2:0 სენტ მირენი
ფოლკირკი 3:2 რეითი
ინვერნესი 3:2 როსი

III დივიზიონი, XIII ტური

ალბიონი 1:3 ბრეტნა
კუოდენბეთი 2:1 ისტ სტირლინგი

გერმანია

საამრეთო რეგიონალლიგა, XVI ტური

ზიგენი 1:0 შტუტგარტი (მ)
აალენი 0:0 ვეჰენი

შვეიცარია

ჩემპიონლიგა, გადადებული მატჩი

ბადენი 2:1 კრინსი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

UEFA UNDER-21 Championship

შესარჩევი ეტაპი, I მატჩები

სერბეთი 5:1 ნორვეგია
გერმანია 1:0 თურქეთი

პოლიტიკა და სპორტი, მით უმეტეს პოლიტიკა და ფეხბურთი ერთი მეორეს ეწებება, თუმც უცხოეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს პოლიტიკური განცხადებების მოსასმენად არ შევხმიანებივართ. ოდენ ის გვაიტერესებდა, თუ როგორ დაინახეს ჩვენმა ლეგიონერებმა სამშობლოში მიმდინარე პროცესები უცხოური მასმედიიდან

ნეტავ, რა ხდება იქ, თბილისში
ფიქრების ლეგიონი


კახა კალაძე

კახა კალაძე. კი, ვიცი, თბილისში რაც ხდება. ინფორმაცია საკმაოდ მაქვს. იტალიური ტელეარხები თბილისური მიტინგების ამსახველ კადრებს უჩვენებენ და ყოველივეს საკმაოდ ვრცელ კომენტარს უკეთებენ. დღეს ისიც გავიგე, რომ საპროტესტო აქციები მთელს საქართველოს უნდა გასწვდეს. გუნდში კი ჩვენს ამბებზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ისე, ჯერჯერობით ხშირად არც თავად ვარ გუნდთან ერთად, დღესდღეობით ინდივიდუალურად, გუნდის მერე ვვარჯიშობ.


შოთა არველაძე

გოჩა ჯამარაული. უკრაინაში მხოლოდ პირველი არხის ყურება შეგვიძლია, თუმც, რა თქმა უნდა, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე მეგობრებისგანაც ბევრი მესმის. უკრაინის ჩემპიონატში პირველი წრე დამთავრდა და კვირას უცხოეთში დასასვენებლად წასვლა მსურდა. დღევანდელი ამბები როცა გავიგე, თბილისში ჩამოსვლა გადავწყვიტე, მაინტერესებს, რა ხდება.


გოჩა ჯამარაული

გუნდში მე და გიორგი დემეტრაძე ძალიან უხერხულად ვგრძნობთ თავს. რა თქმა უნდა, აქ იციან საქართველოში როგორი დაძაბული ვითარებაა და ყველა გაკვირვებული ერთსა და იმავეს გვეკითხება — როდის იქნება თქვენთან სიმშვიდე, როდემდე უნდა იყოს თქვენთან პრობლემები? „მეტალურგში“ უკრაინელები ხომ თამაშობენ და ერთიორი ისეთი უცხოელიც გვყავს, მაგალითად ნიგერიელი, რომელთა ქვეყნებშიც ცხოვრების დონე ჩვენსაზე უარესიც კია, თუმც მშვიდობაა. ნერვები მეშლება, როცა ნიგერიელისგან მესმის, საქართველოში სულ ომი რატომ არისო. კი ვპასუხობთ, მაგრამ რა იციან ამათ ჩვენი ცხოვრებისა...


გიორგი ნემსაძე

მიხეილ აშვეთია. საქართველოში მიმდინარე ამბებმა ძალიან დამძაბა. ვფიქრობ, ყველაფერი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. უკვე ბევრი ომი და სისხლისღვრა გადავიტანეთ და ეს არ უნდა განმეორდეს. ქართველ ხალხს არ ეკუთვნის ასეთი არეულ-დარეული და გალატაკებული ცხოვრება.

— რუსები როგორ ეხმაურებიან ამ ამბებს?

— აქ ვერც გაიგებ ზუსტად, ვის ემხრობიან. ზოგი ერთ მხარეს იცავს, ზოგი მეორეს. გამოკვეთილი პოზიცია არაა. ისე კი, ძალიან აინტერესეთ, რა ხდება. თანაგუნდელები ხშირად მეკითხებიან რაიმე ახალი ხომ არ გაგიგიაო. სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს ვეუბნები. ტელევიზიით ყველაფერს ვუყურებ, გაზეთებსაც ვკითხულობ და მანდ მიმდინარე ამბებს სრულად ვიგებ. მშვიდობა იყოს და ყველაფერს ეშველება. არ მინდა, ჩვენმა ქვეყანამ კიდევ გამოსცადოს 1991-92 წლების პერიოდი. თუ რამეს ვითხოვთ, ბოლომდე მშვიდობიანად და უსისხლოდ მოვითხოვოთ. ომი არ გვინდა.


მიხეილ აშვეთია

გიორგი ნემსაძე: მთელი დღე ქართულ ტელეარხებს ვუყურებ და ბრიტანული ტელეკომპანიები ჩვენზე რას გადმოსცემენ, არ ვიცი. დანდის პოლიტიკურ გაზეთებში ამ მოვლენებზე არაფერი დაწერილა. თანაგუნდელებიც არაფერს მეკითხებიან — როგორც ჩანს, არც მათ აქვთ ინფორმაცია საქართველოს ამბებზე. როცა ამ ცოტა ხნის წინ ბაქოს ცნობილი მოვლენები იყო, მაშინ კი მკითხეს დანდელებმა, თქვენს მეზობელ ქვეყანაში რა ხდებაო. აქ სამი ქართული ტელეარხი მაქვს — „პირველი არხი“ ერთს ლაპარაკობს, „რუსთავი 2“ მეორეს, „აჭარა“ მესამეს — ხოდა მეც მიჭირს, მქონდეს ჩამოყალიბებული აზრი საქართველოს მიმდინარე პროცესებზე.

შოთა არველაძე. აქაური პრესა საკმაოდ ვრცლად აშუქებს ქართულ ამბებს. გლაზგოში გამომავალ გაზეთებში ბლომად დაიწერა ყველაფერზე და ტელეარხების საინფორმაციო პროგრამები სისტემატურად აშუქებენ თბილისში და საქართველოში არსებულ სიტუაციას. ამბობენ, ცუდი სიტუაციააო, თუმც შეფასების მაგვარ კომენტარებს ნაკლებად წააწყდები. რეინჯერსელებმაც ყველაფერი იციან და ბევრს მეკითხებიან საქართველოში დატრიალებულ ამბებზე.


ალექსანდრე იაშვილი

ალექსანდრე იაშვილი: საქართველოში მიმდინარე მოვლენებს გერმანული ტელევიზიები ხშირად აჩვენებენ. პოლიტიკურ გაზეთებს მე არ ვკითხულობ და იქ რა იწერება, ვერ გეტყვით. ჩემს თანაგუნდელებს კი საქართველოში დატრიალებული ამბები მაინცდამაინც არ უკვირთ, ასეთები ბევრ სხვა ქვეყანაშიც მომხდარაო.

ჯაბა მუჯირი: ირანელებმა ჩვენში არსებულ სიტუაციაზე არაფერი იციან. თუმც ჩვენი გუნდის სომეხმა ლეგიონერმა და კაპიტანმა ლეონ სტეპანიანმა ყველაფერი შეიტყო, ალბათ სომხური ტელეარხებიდან. მან მითხრა, რომ სომხეთში არჩევნების შემდეგ ასეთი რამ არასდროს მომხდარაო.

იხალისეთ, ბავშვებო!

ბადრი კვირკველიას ფოტო

დღეს გლდანში, საფეხბურთო კლუბ „ამერის“ საფეხბურთო სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედნებზე დაიწყება კახი ასათიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბავშვთა სახალისო სკოლებს შორის. ტურნირის ორგანიზატორი კახი ასათიანის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდია, რომელიც ამ ორიოდ თვის წინ შეიქმნა. ფონდის პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი მერაბ ჟორდანიაა, ვიცე-პრეზიდენტები მაკა ასათიანი და ვალერი ჩოლარია, აღმასრულებელი დირექტორი გივი ჯიშიაშვილი.

ტურნირში კი, რომელიც ხუთშაბათამდე გასტანს, მონაწილეობას 10-12 წლის გოგონები და ვაჟები მიიღებენ. სულ 14 გუნდი, მათგან ექვსი აღმოსავლეთ საქართველოდან იქნება, ექვსიც დასავლეთიდან, თითო-თითო სომხეთ-აზერბაიჯანიდან. საგანგებოდ ამ ტურნირისთვის ასათიანის ფონდმა ნაირ-ნაირი პრიზები და სუვენირები დაამზადა. პატარები ასევე სპეციალურად ტურნირისთვის შეკერილი მაისურებით ითამაშებენ, რაც მათვე დარჩებათ. „ამერის“ მოედნებზე სულ 250 ბავშვი იბურთავებს, მათგან საუკეთესოებს ჟიური გამოავლენს და დაასაჩუქრებს.

და კიდევ: 22 ნოემბერს, კახი ასათიანის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე, მისი სახლის ფასადზე, მემორიალური დაფა გაიხსნება.

ჭოგა ინასარიძე


ბადრი კვირკველიას ფოტო

„ამერის“ მოედნები ბავშვებს ელის

ფეხბურთი
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
18 ნოემბერი
მეთოთხმეტე ტური
ამერი — გურია
თბილისი — ლანჩხუთი
დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა

ყურადღება!
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო
1990-1996 წლებში დაბადებული
ბავშვების მიღება
ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულის გადასახვევთან),
ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

საქართველოს უმაღლესი პირველი 15 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 17 ტური

სიონი 4:3 დილა	მცხეთა 2:1 სპარტაკი
თბილისი 0:1 ბათუმი	მერცხალი 0:2 დინამო
ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი	ლოკომოტივი 3:0 ტორპედო

მე-17 ტური ჭკუის სასწავლებელი უნდა გამოდგეს მათთვის, ვინც ჭკუა აქვთ უნდა ასწავლოს კლუბებსა და მსაჯებს – ქართული ფეხბურთის მესვეურთ რეფორმატორობა მართებთ, თორემ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა მალე სოფლის ორღობეში ბურთის გორებას დაემსგავსება – პროვინციული ექსცესებით აყვირებული „სიონ“ – „დილას“ მატჩი ოდენ ამ გუნდების და მათი გულშემატკივრების ბრალი როდია – თუ პროფესიული ლიგა მართლაც პროგრესული ორგანიზაციაა, მისგან მხოლოდ და მხოლოდ კლიშეებჩამოხსნილ ქმედებას მოვითხოვთ

ყბადაღებული ბოლნისური რია-რია უფრო მეტად ყბადასაღებია

ფოტო ალექსანდრ ეფანოვი

ჰგავს დევდარიანი ჰიდინკს?

სპორტული მაზანდით ბოლნისური მატჩი ურიგო ნაღდად არ ყოფილა. „დილას“ ხერხემალს ზაზა ლაცაბიძე და ალეკო კაიდარაშვილი წარმოადგენენ — თუ ამ საყრდენ ნახევარმცველსა და ფორვარდს თამაშის წაუვიდათ, გორელთა მეტოქე განწირულია. ქმედება უდრის უკუქმედებას — თუ „სიონი“ გაბრაზდა, ისააკ ნიუტონის კანონებს თავისებურად ჭრის — ემოციური მუხტით, ერთი ამოსუნთქვით ძალუძს მოწინააღმდეგის ჩაპირქვავება. ერთიცაა, „სიონი“ გაზაფხულისთვის გაძლიერებას აპირებს — ოქროსმომპოვებელ ქვემო ქართლში ოქრო გუნდიც სურთ.

თუმც ლიდერი თერთმეტგზის ჩემპიონი „დინამოა“, რომელმაც მერცხალა ბიჭებს ორი გოლი აკმარა ოზურგეთში, სადაც ერთხელაც ისროლეს ქვები — ქვასროლია კერების აღმოცენება და გამრავლება არ ეგების და ვინძლო გურულებმა თავი აღარ შეირცხვინონ.

ზედიზედ სამი მატჩია, „ვიტ ჯორჯიას“ არ მოუგია. ვეტერინარებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ბომბარდირი, მეგოლე ფორვარდი და ბევრი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა დიდ დაღს ასვამს ამ გუნდს — „ვიტ ჯორჯიას“ ჩავარდნა სწორედ ამას უნდა მივაწეროთ. ტრადიციული გუნდი ფოთის „კოლხეთი“ კი ზაველ ღაღანიძის დარტყმების იმედზეა, რამაც სამი ქულა მოუტანა სტუმრად ვიტელებთან, მაგრამ ცხრილში ჯერაც უჩვეულოდ დაბლაა.

გიორგი დევდარიანი „თბილისს“ ისეთ ფეხბურთს ათამაშებს, რომ ხანგრძლივ ტურნირზე ამ გუნდის გამძლეობა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა — ახალგაზრდულ ჯანსაც აქვს თავისი ზღვარი. გახსოვთ გუუს ჰიდინკის კორეა მუნდიალზე? დევდარიანის გუნდის მოდელი მისი მსგავსია.

„ლოკომოტივ“ — „ტორპედოზე“ დიდ ანგარიშს არ ველოდით. თუმც რკინიგზელებს ბევრად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ. თავი იჩინა იმ ფაქტორმაც, რომ ფიზიკურად „ლოკომოტივი“ ქუთაისელებზე უკეთაა მზად — ათლეტიზმშიც უპირატესობა რკინიგზის მხარეს იყო.

დარჩენილი ხუთი მატჩიდან „ტორპედო“ სამს შინ თამაშობს. ხვალ ჟოაო კამპუშის სამწყსო „მერცხალს“ მასპინძლობს. „ტორპედო“ ფავორიტია, ქუთაისელებს წინა ტურში დისკვალიფიცირებული მცველი ვახტანგ ხვადაგიანი დაუბრუნდებათ.

ბრძოლაა მოსალოდნელი „ლოკომოტივზე“ — მასპინძელ „სპარტაკს“ რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს და არც ჟინი დაეწუნება, ხოლო სტუმარ „ვიტ ჯორჯიას“ რაც ახლა აკლია, კონცენტრაციაა.

ასლან ბალაძის და ვალერიან ჩხარტიშვილის „ბათუმმა“, ასე ვთქვათ, თავისი თამაში დაიჭირა და ვინძლო შინ „სიონიც“ გამოიჭიროს. ბოლნისელებს ფიცხი მთავარსარდალი ოთარ გაბელია სათადარიგოთა სკამზე ეყოლებათ — მან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა. მოკლედ, ბათუმში ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩია.

„ნაციონალური მოძრაობა“ არ ნებდება და „მცხეთასაც“ ვლადიმერ გუცაევის ხელი მოაკლდა. მცხეთელებმა წინა ტურში კი მოიგეს, მაგრამ პატრონის მზრუნველობა და ყურადღება მაინც სხვაა. ხვალ „მცხეთა“ კახა მესხზე გამწარებულ „დილას“ სტუმრობს და შინ ქულით თუ დაბრუნდა, კმაყოფილი უნდა იყოს.

თუ ახლო წარსულს გავიხსენებთ, „კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“ კი ზორბა დაპირისპირებაა. ფოთელებს რამდენჯერმე დაუბრკოლებიათ მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი რკინიგზელები. ჩემი გუნდი პროგრესის გზას ადგასო — თქვა წინა ტურის მატჩის შემდეგ ლუის ცაკარიასმა და ვნახოთ, მის გაწვრთნილ „ლოკომოტივს“ საბანი შავ ზღვამდე თუ გასწვდება.

ორშაბათს თბილისში ერთი მატჩია და ვინძლო ტურის გვირგვინადაც გამოდგეს. თუ „თბილისმა“ ძალა აღიდგინა, შუშაკელებს დიდი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს — ამ შეხვედრაში ძალიან კარგად გამოჩნდება დევდარიანის გუნდის რესურსი. ისიცაა, რომ „თბილისს“ ახალგაზრდების გარდა გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავს — ნაჭყეპია, სიდამონიძე, კვარაცხელია და დავითაშვილი, რომელსაც ბოლო ორ თამაშში გოლი არ შეუგდია.

დავით თავართქილაძე

ბომბარდირები	
12 - დავითაშვილი	*თბილისი*
11 - გონჩაროვი	*სიონი*
10 - კაკალაძე	*ბათუმი*
9 - ა. კაიდარაშვილი	*დილა*
8 - ახალაია	*დინამო*
გოცირიძე	*ვიტ ჯორჯია*
7 - ვ. გოჩაშვილი	*ვიტ ჯორჯია*
6 - გაბედავა	*მერცხალი*
გაბისკირია	*სიონი*
5 - მელქაძე	*დინამო*
დარასელია	*დინამო*
ალექსიძე	*დინამო*
სირაძე	*ლოკომოტივი*

საქართველოს უმაღლესი პირველი 15 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი 18 ტური სიონი

თბილისი. 16 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

სპარტაკი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ი. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

ბათუმი. 16 ნოემბერი. 15 საათი. დინამო

ბათუმი — სიონი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამიგ ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: ვ. ჯიშკარიანი

გორი. 16 ნოემბერი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა — მცხეთა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში; დირექტორი: ა. გრიკოვი

თბილისი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული

დინამო — თბილისი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ფოთი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ფაზისი

კოლხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი; დირექტორი: დ. გოგია

ქუთაისი. 17 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო

ტორპედო — მერცხალი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (ტულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

სიმბოლური ნაკრები



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. III ტური

დღეს

ურუგვაი – ჩილე
კოლუმბია – ვენესუელა
პარაგვაი – ეკვადორი
არგენტინა – ბოლივია

ხვალ

პერუ – ბრაზილია

აქ არის შენი ბედნიერება, კაკა

ჩილეს იღბალი რომ მოგვცა...

სამხრეთ ამერიკაში ამ უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაიმართება. მატჩებისწინა ამბებზე გუშინაც გიამბეთ და ახლა უახლეს ამბებზე მოგითხრობთ. თუმცა თხრობა იმით დავიწყოთ, რასაც სანაკრებო საკითხებთან ნაკლები კავშირი აქვს. პერუში ჩასულმა ბრაზილიელმა მსოფლიოს ჩემპიონმა რივალდომ შანსი ხელიდან არ გაუშვა და „მილანს“ კბილი აგერ უკვე მერამდენედ გაჰკრა.

„წლევანდელი სეზონი უცუდესია ჩემს კარიერაში — თქვა რივალდომ — ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ, ყველაფერს კარგად ვაკეთებ, მაგრამ რად გინდა, თამაშის საშუალებას არ მაძლევენ. მეტიც, სათადარიგოთა შორისაც კი არ მამყოფებენ. „მილანში“ ჩემი ბრაზილიელი მეგობრები დამერწმუნებიან, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვარ.“

ბრაზილიელ მეგობრებში რივალდომ კაკაც იგულისხმა, რომელსაც ახლა მეგობრის დასაცავად არ სცალია — პერუსთან, მომდევნო ოთხშაბათს კი ურუგვაისთან შეხვედრებში მან დამტვრეული რონალდინიო უნდა შეცვალოს.

ხუთშაბათს კარლოს ალბერტო პარეირამ ძირითადი შემადგენლობა სათადარიგოებს გააჯიბრა, კაკა ძირითადებში ათამაშა და კმაყოფილიც დარჩა. ნავარჯიშევს კი კაკამ თქვა, ჩემი ცხოვრების მთავარი მატჩისთვის ვემზადებიო.

„თუ მწვრთნელი მენდო, ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა ბრაზილიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ვითამაშებ. ეს დღე არასდროს დამავიწყდება“ — დასძინა მილანელმა.

ხოლო რონალდინიომ, შეგახსენებთ, რომ ნაკრების პირველი შესარჩევი მატჩიც გამოტოვა კოლუმბიის წინააღმდეგ, ოღონდ დისკვალიფიკაციის გამო. მაშინ ის კრუზეიროელმა ალეშმა შეცვალა. იმ შეხვედრაში კაკა შეცვლაზე შევიდა და ბურთთან პირველივე შეხებით გოლი გაიტანა.

მოგეხსენებათ, ბრაზილიელებს

პერუელმა მჩხიბავებმა რივალდო ასე გათვალეს



კაკა ბრაზილიის ნაკრების სასტარტოში პირველად ითამაშებს

რობერტო კარლოსიც არ ეყოლებათ, რომელზეც პარეირამ თქვა, რობერტო კარლოსი საუკეთესო ფორმაში იყო და მისებრ გამოცდილი ფეხბურთელის არყოფნა დიდად დაგვეტყობაო.

რომერტო კარლოსს „პარმაში“ მოთამაშე ჟუნიორი შეცვლის.

ცხადია, რობერტო კარლოსის შეცვლა ძალიან ძნელია, მაგრამ მწამს, ჟუნიორი ამას შეძლებსო — პარეირამ ესეც თქვა.

ტოტალიზატორების კოეფიციენტებს თუ ჩახედავთ, არგენტინის გამარჯვებაზე ფსონის ჩასვლის სურვილი დაგეკარგებათ — იმდენად მცირეა, მოგებას ვერ გახავთ. ანუ არგენტინა ბოლივიას რომ დაამარცხებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია.

მაგრამ თამაში თამაშია, ბურთი მრგვალია და არგენტინელებზეც ვთქვათ.

მატჩი ბუენოს აირესში, „რივერ პლეიტის“ სტადიონზე გაიმართება და ბოლივიელები მთლად უიმედოდ არ არიან. არგენტინელებმა ჩილე თუ ვერ დაამარცხეს (2:2) ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ იგივე, ჩილელებზე ნაკლები რითი ვართო — ასეთია ბოლივიელთა ლოგიკა.

„ჩილეს წინააღმდეგ არგენტინას ათი რეალური საგოლე მომენტი მაინც ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. ვითომ ჩვენს წინააღმდეგ მეტი რატომ უნდა გაიტანონ? — მიამიტურად იკითხა ბოლივიელთა მწვრთნელმა ნელსონ აკოსტამ — იმედი მაქვს, ისევე იღბლიანები ვიქნებით, როგორც ჩილელები იყვნენ, არგენტინას კი ისევ არ გაუმართლებს.“

სხვათა შორის, არგენტინის ნაკრებს კრიტიკოსები ბლომად ჰყავს. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კრახის გამო და საერთოდ არაარგენტინული და არასანახაობრივი თამაშის გამო, ეს გასაკვირი არცაა. ამის გამოც იყო, რომ ხავიერ სავიოლამ თქვა, უბრალოდ კი არ უნდა მოვიგოთ, ხალხს ლამაზი თამაშიც უნდა ვაჩვენოთო.

ძნელი საქმეა — ბოლივია მთელი გუნდით დაცვაში გამაგრებას აპირებს და სანახაობა სულაც არ აღელვებს.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლივიელებს არ ეყოლებათ ლუის კრისტალდო, რომელსაც გრიპი და მუხლის ტრავმა ერთდროულად შეეყარა. არგენტინელთა მწვრთნელი მარსელო ბიელსა კი დისკვალიფიცირებული ხუან ვერონის შეცვლას მათიას ალმეიდათი აპირებს.

გუშინდელ „სარბიელში“ ბევრი ვილაპარაკეთ კოლუმბიელებზე. ვთქვით, რომ მათ პირველი ორი თამაში წააგეს და უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, მით უმეტეს, რომ ოთხშაბათს თვით არგენტინას ხვდებიან.

ვენესუელელები კი ისედაც ხომ ვერ დაიკვეხნიან ძლევამოსილებით — ერთადერთი სამხრეთამერიკული ნაკრებია, მსოფლიოს ჩემპიონატზე არასდროს რომ უთამაშია — ტრავმირებული ფეხბურთელებიც ბლომად ჰყავთ.

კოტე კეკელია



დალესანდროს და სავიოლას მოგებასთან ერთად ლამაზი ფეხბურთის ჩვენებაც უნდათ

საპარაუდო შემადგენლობები

არგენტინა – ბოლივია

არგენტინა: კაბალიერო, კიროგა, აიალა, სამუელი, ხ. ძანეტი, ალმეიდა, კილი გონსალესი, აიმარი, დალესანდრო, კრესპო, ს. დელგადო

ბოლივია: ლეო ფერნანდესი, ხუან გარსია, რალდესი, ო. სანჩესი, რიკალდი, რიბეირო, რეიესი, ხუსტინიანო, სუარესი, ლ. მენდესი, მერკადო

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

პერუ – ბრაზილია

პერუ: ე. დელგადო, ხ. სოტო, რებოსიო, გალიკიო, იდალგო, ხაიო, კიურლიცა, სოლანო, პალასიოსი, ა. მენდოსა, კ. პიზარო

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟუნიორი, ჟილბერტო სილვა, ემერსონი, ზე რობერტო, კაკა, რონალდო, რივალდო

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

ბრაზილია	2	2	0	0	3:1	6
არგენტინა	2	1	1	0	5:2	4
ჩილე	2	1	1	0	4:3	4
ურუგვაი	2	1	0	1	6:4	3
პერუ	2	1	0	1	5:3	3
ეკვადორი	2	1	0	1	2:1	3
პარაგვაი	2	1	0	1	5:5	3
ბოლივია	2	1	0	1	4:5	3
კოლუმბია	2	0	0	2	1:6	0
ვენესუელა	2	0	0	2	0:5	0

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი. პირველი მატჩები

შოტლანდია — ჰოლანდია

ფოგთსის არჩევან-არადანი

ფერგიუსონის შეგირდი თუ ნემსაძის ძმაკაცი?



შოტლანდიელებს გლაზგოში პატრიკ კლუივერტი შეუტევს

უკვე ვწერდით და ისევ გავიმეოროთ, რომ შოტლანდიელებს გლაზგოს „სელტიკის" კაპიტანი პოლ ლამბერტი და ინგლისური „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველი კოლინ კამერონი არ ეყოლება. ორივენი ტრავმებს მკურნალობენ. სამაგიეროდ, „ჰართსის" მცველი სტივენ პრესლი მომჯობინებულა და ჰოლანდიელთა დასახვედრად მზად არის. მატჩი გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" გაიმართება. ნაკრებში დაბრუნდა საუთჰემპტონელი გარემარბი ნეილ მაკკანი, რომელმაც შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

შოტლანდიელთა გერმანელ მწვრთნელ ბერტი ფოგთსს საქმე ასარჩევად აქვს. მან უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ იყოლიოს სასტარტო შემადგენლობაში — „მანჩესტერ იუნაიტედის" თინეიჯერი დარენ ფლეტჩერი თუ გიორგი ნემსაძის დანდელი ძმაკაცი გევინ რაე. ნახევარდაცვის სიძლიერე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰოლანდიელებთან შეხვედრაში, რაკი დიკ ადვოკაატის გუნდი სწორედ ნახევარდაცვაში უპირატესობის ხარჯზე აპირებს მეტოქის დაჯაბენას.

ჰოლანდიელებს ალბათ მატჩის წინ საბოლოოდ მოუმჯობინდებათ ცენტრალური მცველები, იაპ სტამი და ანდრე ოიერი, რაც შეეხება ნახსენებ ერთ თავდამსხმელს, დიკ ადვოკაატმა საჭიროდ არ ჩათვალა, რუუდ ვან ნისტელროის და პატრიკ კლუივერტის მოედანზე ერთდროულად ყოფნა და არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა.

საპარაულო შემადგენლობები

შოტლანდია: დუგლასი, მაკნამარა, დეილი, პრესლი, ნეისმიტი, ბ. ფერგიუსონი, რაე (ან ფლეტჩერი), მაკკანი, მაკფადენი, მილერი, კროუფორდი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, ვან ბრონკჰორსტი, ზეედორფი, ვან დერ ვაარტი, კოკუ, ვან დერ მეიდე, კლუივერტი, ოვერმარსი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

ხორვატია — სლოვენია

ბარიჩმა ფსონი პრსოზე დადო



დადო პრსო

ხორვატია მწვრთნელს, ოტო ბარიჩს სლოვენიელებთან მატჩის წინ გვარიანი პრობლემები აქვს დაცვის ხაზში. ბაიერნელი რობერტ კოვაჩი დისკვალიფიცირებულია, ხოლო იოსიპ სიმუნიჩი კოჭის ტრავმამ გამოიყვანა მწყობრიდან. სიმუნიჩი, შეგახსენებთ, ბერლინის „ჰერტაში" თამაშობს. ხორვატთა გასახარად, საპასუხო მატჩში ორივე შეძლებს თამაშს.

მაგრამ ოტო ბარიჩს ვერც პირველში და ვერც საპასუხო მატჩში ვერ დაეხმარება ნახევარმცველი მილან რაპაიჩი, რომლის ტრავმაც უფრო სერიოზულია.

აქედან გამომდინარე, ბარიჩი საგონებელშია ჩავარდნილი და ვინძლო, ზაგრების „დინამოს" 19 წლის ნახევარმცველი ნიკო კრანიკარი ათამაშოს. მის გარდა, საფიქრებელია, რომ მოედანზე მონაკოელი თავდამსხმელი დადო პრსო და მოსკოვის არმიელი, ასევე ფორვარდი, ივიცა ოლიჩი იქნებიან.

სლოვენიელთა მთავარი იმედი კი, ისევე როგორც უკვე მრავალი წელია, ზლატკო ზაჰოვიჩს უკავშირდება. ტრავმის გამო მას ექვსი კვირა გაუცდა. ნაკრებშია ერმინ შილიაკიც, ვინაც შესარჩევ მატჩებში სლოვენიელთა მთავარმეგოლე გახლდათ.

მცველი ალექსანდრ კნავსი, რომელმაც მტკივანი ფეხი ახლახან მოიშუშა, ალბათ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს, აი, ძირითადი მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი კი კვლავაც მხრის მკურნალობაშია და მას მლადენ დაბანოვიჩი შეცვლის.

კოტე კეკელია

საპარაულო შემადგენლობები

ხორვატია: პლეტიკოშა, შიმიჩი, ტუდორი, ყივკოვიჩი, ტომაში, ნერეტლიაკი (ან ბაბიჩი), ლეკო, ნ. კოვაჩი, მორნარი, პრსო, ოლიჩი

სლოვენია: დაბანოვიჩი, ციპოტი, ბულაიჩი, კნავსი, შუკალო, ნ. ჩეჰი, პავლინი, კარიჩი, აჩიმოვიჩი, ზაჰოვიჩი, შილიაკი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

რუსეთი — უელსი



რაიან გიგზი წითელ მოედანზე

თუ სმერტინი გამოცოცხლდა... რუსული ფესრიგი უელსის მოსახრჩობად

გუშინ ვწერდით, რომ რუსეთის ნაკრებს არ ეყოლებოდა ლონდონის „ჩელსის" „პორტსმუთში" განათხოვრებული ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი. დღეს ამ ინფორმაციაში მცირედი შესწორება უნდა შევიტანოთ: სმერტინი, რომელმაც წინა თვეში მუხლზე ოპერაცია გაიკეთე, ბოლომდე მომჯობინებულა, მაგრამ მისი თამაში გამორიცხული არ არის.



გარი სპიდი რუსულ „უშანკაში" გამოეწყო

რუსთა მწვრთნელმა გიორგი იარცევამ სმერტინის თაობაზე განაცხადა, თუ თამაშის წინ ბოლომდე მოკეთებული არ იქნა, არ ვათამაშებო.

დიდი კითხვის ნიშანი უდგას მოსკოვის „სპარტაკის" კაპიტნის იგორ ტიტოვის თამაშის ალბათობასაც. ის კი ცდილობს, კოჭის ტკივილი როგორმე დაიამოს, მაგრამ თამაშამდე აქედან რა გამოვა, ძნელი სათქმელია.

სხვა მხრივ, რუსთა ბანაკში წესრიგია და უელსელთა პირველივე მატჩში მოხრჩობას აპირებენ.

ადრიანი სექტემბრის მერე უელსის ნაკრებს გამოაკლდნენ ნახევარმცველი მარკ პემბრიჯი (კუნთი), ცენტრალური მცველი სიამონ პეიჯი, რომელსაც კოჭი სტკივა და კიდევ ერთი ნახევარმცველი საიმონ დევისი. ისინი გუნდს მოსკოვში არც გაჰყოლიან, მაგრამ საპასუხო მატჩისთვის, რომელიც პირველი მატჩიდან ოთხი დღის მერე გაიმართება, შესაძლოა, მზადყოფნაში იყვნენ.

საპარაულო შემადგენლობები

რუსეთი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი, იგნაშევიჩი, ნიჟეგოროდოვი (ან სმერტინი), ონოპკო, ალენიჩევი, გუსევი, ტიტოვი (ან ლოსკოვი), მოსტოვოი, ბულიკინი, კერჟაკოვი

უელსი: ჯოუნსი, დილანი, ბარნარდი, მელვილი, სპიდი, კუმასი, ე. ჯონსონი, სვევიჯი, გიგზი, ჰართსონი, ერნშოუ

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი. პირველი მატჩები

ესპანეთი — ნორვეგია

ვალდებულება და უფლება

ესპანეთმა ნორვეგია პროვინციაში შეიტყუა

ესპანეთმა ჯგუფიდან ვერგასვლით საქმე თვითონ გაირთულა და ახლოა ნორვეგიული ბარიერის დაძლევა მოუწევს. ესპანელებს კარგად ახსოვთ ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი, როცა „ვიკინგებმა" მათ 1:0 სძლიეს. ახლა ყველა პირობა არსებობს სარევანშოდ, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დიდხანს ყოყმანობდა, სად დახვედროდა ნორვეგიელებს. თავდაპირველად მადრიდი და „სანტიაგო ბერნაბეუ" დაასახელეს, მაგრამ საბოლოოდ პერიფერია არჩიეს და მატჩს ვალენსიის „მესტალიის" სტადიონი უმასპინძლებს.

„დეპორტივოს" ფორვარდ ალბერტო ლუკეს მიაჩნია, რომ „მესტალია" კარგი არჩევანია: „დარწმუნებული ვარ, ტრიბუნები ბოლომდე გაივსება. შექმნილი ატმოსფერო სტუმრებზე დამთრგუნველად იმოქმედებს და გამარჯვებაში დაგვეხმარება. უდიდეს საფეხბურთო ქვეყანას წარმოვადგენთ და პორტუგალიაში ვერმოხვედრის უფლება არ გვაქვს. ნაკრებთან ერთად ყოფნისას ვგრძნობ, რომ ევროპაში ჩვენი ძალა უნდა დავამტკიცოთ. ყველა გულშემატკივარს ვარწმუნებ — ორრაუნდიან ბრძოლაში თავს არ დაეზოგავთ. ნორვეგიელებს კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ვალდებულები ვართ, მოვიგოთ".



დეპორტივოელი ლუკე ევროპაში თავის შერცხვენას არ აპირებს

მასპინძლებს ტრავმირებული მხოლოდ ბეტისელი ხოაკინი ჰყავთ, რომელმაც გასულ უქმეებზე „ბარსელონასთან" შეხვედრა გამოტოვა, მაგრამ სავარაუდოდ, ხვალისთვის მზად იქნება. ასევე მწყობრშია „რეალის" მცველი ივან ელგერა. მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები 3:0-ს თუ მოვიგებთო — თქვა ხოაკინმა.

„ჩვენ პირველივე მატჩში გვსურს პორტუგალიის საგზურის მფლობელის ვინაობის გადაწყვეტა" — დასძინა ინაკი საესმა.

ნორვეგიელთა მწვრთნელ ნილს იოჰან სემბს პრობლემები თავზესაყრელი აქვს. რომაელი იონ კარეუ, სეხნია არნე რისესთან ჩხუბის გამო ნაკრებიდან მოკვეთა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი ტრავმირებულია. სემბის ფორვარდთა არჩევანი მაინც აქვს: ბრატბაკი და ფროდი ონსენი, ან ტორე ანდრე ფლო და შტეფან ივერსენი. „ფეხბურთი საინტერესოა იმით, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა ვალიარებ, წილისყრაში აშკარად არ გაგვიმართლა" — განაცხადა „ვიკინგთა" თავკაცმა.

ნაკრებს გამოჯანმრთელებული მცველი კლაუს ლუნდეკვამი დაუბრუნდა, მაგრამ ნორვეგიელები დორტმუნდელ ანდრე ბერგდოლმოს მოისაკლისებენ. მის ნაცვლად სემბმა როსენბორგელ იან გუნარ სოლს უხმო.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სავარაუდო შემადგენლობები

ესპანეთი: კასილისი, სალგადო, პუიოლი, ელგერა, მარჩენა, ეჩებერია, ალბელდა, ბარახა, რეიესი, რაული, ფ. ტორესი

ნორვეგია: ე. იონსენი, ბასმა, ჰ. ბერგი, ლუნდეკვამი, სოლი, რიისე, მ. ანდერსენი, რ. იონსენი, სტრანდი, ივერსენი, ტ. ფლო

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

შტეფან ივერსენი: ვცვლი ერთ გოლს ერთ დიდ გამარჯვებაში

2000 წლის 13 ივნისს შტეფან ივერსენის გვარსახელი ნორვეგიაში ყველას პირზე ეკერა. იმ ბედნიერ დღეს ვიკინგებმა ივერსენის მომგებიანი თავურის წყალობით ჰოლანდია-ბელგიის ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ესპანეთის ნაკრები დაამარცხეს. 3 წლის შემდეგ ამ ორი გუნდის გზა კვლავ გადაიკვეთა. დღეს კასტილიურ-სკანდინავიური ომი პორტუგალიურ ევრო 2004-ზე მოსახვედრად გაიმართება. „მესტალიაზე" მოგების მსურველ ივერსენს ესპანური „მარკა" ესაუბრა.



— ესპანეთის ნაკრებთან იმ შეხვედრას როგორ გაიხსენებდით?

— მოგება ორივე გუნდს შეეძლო. მოწინააღმდეგე გამუდმებით გვიტევდა, თუმცა ჩვენ თავს კარგად ვიცავდით და საჭირო ეპიზოდში გამარჯვების გოლიც გავიტანეთ. დღესაც შეგვიძლია, იგივე გავაკეთოთ, ანუ საესის შეგირდები დავამარცხოთ.

— ხოსე მოლინას კარში გატანილი ბურთი თქვენთვის მოულოდნელი იყო?

— ჩემი კარიერის განმავლობაში მოწინააღმდეგის მეკარეები მსგავსი თავურით ბევრჯერ დამიმწუხრებია. საქმე ისაა, რომ მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში გოლკიპერთან შეტაკების არ მეშინია და ამიტომაც საგოლე სივრცეს იშვიათად ვკარგავ. თან დაკვირვებული ვარ — უფრო ხშირად სწორედ გადამწყვეტ შეხვედრებში მიმართლებს.

— ახლა ესპანეთის მთავარი გუნდის მეკარე იკერ კასილიასია და არა მოლინა. თქვენი აზრით, ამათგან ვინ უფრო ძლიერი?

— კასილიასი ჩინებული მეკარეა, მაგრამ ვფიქრობ, მასაც იმავე პოზიციიდან გავუტანდი, როგორც მოლინას. თუმცა ტაბლოზე ჩემი გვარი საერთოდ რომ არ აინთოს და ნორვეგიის ნაკრებმა მოიგოს, ამაზეც თანახმა ვარ. ანუ, ვცვლი ერთ გოლს ერთ დიდ გამარჯვებაში.

— თქვენი დამრიგებლის თქმით, 2:1 სტუმრად შესანიშნავი შედეგი იქნება. ნორვეგიის ნაკრების გუნდის წევრთა მოსაზრებაც იგივეა?

— მწვრთნელს სავსებით ვეთანხმები. 0:0-იც კარგი იქნებოდა, მაგრამ მჯერა, რომ გოლს აუცილებლად გავიტანთ. ყველამ ვიცით, შინ, ოსლოში, რა რთული მატჩიც გველოდება, იქამდე კი „მესტალიაზე" საშინაო გამარჯვების წინაპირობა უნდა შევქმნათ. მიუხედავად ესპანეთის ნაკრების სიძლიერისა, ჩვენ მასპინძლებთან არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

— ნორვეგიულ პრესაში ოსლოს „ყინულოვან" შეხვედრაზე ბევრს საუბრობენ. ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა პლეი ოფის შედეგზე გავლენას მოახდენს?

— ვერ გეტყვით, რომ გადამწყვეტს, მაგრამ თავისებურ გავლენას მაინც იქონიებს.

— სამი წლის წინანდელი შერკინების შემდეგ ორივე გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. როგორია ინაკი საესის დღევანდელი ნაკრების თქვენეული შეფასება?

— საესის განმგებლობაში მყოფი ნაკრების ყველა მობურთალი თანაბრად ძლიერია. სამაგიეროდ, მათი შემადგენლობა ძალინ ახალგაზრდაა და ნორვეგიის ნაკრები ამას სათავისოდ გამოიყენებს. „მესტალიაზე" უშეღავათო ბრძოლა იქნება.

ლატვია — თურქეთი

თურქთა მეკარე რუშთუს ვარჯიშებზე გვარიანი ჯაფა დაადგა

მომავალ შეხვედრამდე პორტუგალიაში

რუშთუ რაიკარდით გააღიზიანეს

თურქეთ-ინგლისის მატჩის შემდეგ, რომელიც უგოლო ფრით დამთავრდა და ინგლისს პორტუგალიის საგზური გაუნაღდა, ერთი თურქული გაზეთი ასეთი სათაურით გამოვიდა: „ჩვენ მომავალ ივნისში შევხვდებით!" ოსმალებს პლეი ოფში გამარჯვებისა და ევრო 2004-ზე მოხვედრის სჯერათ. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ შენოლ გიუნეშთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა და ნდობა გამოუცხადა.

თურქები საამმატჩოდ ორიგინალურად ემზადებოდნენ. „ბარსელონას" მეკარე რეშიუ რექბერი კარში იდგა და მას ფათიჰი ავარჯიშებდა. ბურთის დარტყმის წინ ეუბნებოდა, რაიკარდი ვარ, შენ რომ ძირითადი შემადგენლობიდან მოგიძულაო. მერე თუგაის ჯერი დადგა და რუშთუ მას... სახლზე დაენიძლავა. სტამბოლის ფეშენებელურ უბან ფლორაში სახლი რომ გიდგას, მე მაჩუქებ, თუ ვერ გამიტანო. თუგაიმ ვერ გაუტანა და ახლა სახლი „ბარსას" მეკარეს ეკუთვნის. ეს, ცხადია, ხუმრობა იყო, მაგრამ ოსმალებს დღეს საქმე სახუმაროდ ნამდვილად არ ექნებათ.

შენოლ გიუნეშის ნაკრებს სამი ფეხბურთელი დააკლდება. დევიდ ბექემთან ნაჩხუბარ და „ასტონ ვილადან" დათხოვილ ალფაის გრიპი შეჰყრია. „ლეევერკუზენის" ილდირაი ბაშთურქს ზურგის ტკივილი აწუხებს. იგი ლატვიასთან შეხვედრას გამოტოვებს, მაგრამ საპასუხო მატჩისთვის სავარაუდოდ მზად იქნება. გიუნეშის ბანაკს „ბეშიქთაშის"ნახევარმცველი სერგენ იალჩინიც დააკლდა, ილჰან მანსიზის თამაში კი საეჭვოა.

საპირისპირო ვითარებაა ლატვიელთა ბანაკში. ალექსანდრ სტარკოვსის გუნდში ყველა მწყობრშია. ბალტიისპირელთა გასვლა პლეი ოფში მრავალთათვის მოულოდნელ იყო და მათი მეკარის, ალექსანდრ კოლინკოს აზრით, ისინი ბევრად უფრო ლაღად და თავისუფლად ითამაშებენ, ვიდრე ოსმალები.

„თურქეთის ნაკრები მსოფლიოს ბრინჯაოსანია. აუცილებელ გამარჯვებას საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან ჩვენ არავინ მოგვთხოვს, ამიტომ ფსიქოლოგიურად თავს უკეთ ვგრძნობთ. თურქებს კი არ აპატიებენ, პორტუგალიის საგზური რომ ვერ მოიპოვოს".

„ეს ორი თამაში მხოლოდ ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის კი არა, სრულიად ლატვიური ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მსგავსი რამ ხომ არასოდეს მომხდარა" — დასძინა კოლინკომ, რომელსაც „სკონტოში" და „კრისტალ პალასში" უთამაშია, ახლა კი რუსეთის „როსტოვის" ღირსებას იცავს.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გენადი კარავაევი:

„თურქეთის დონის ნაკრების სტუმრობა ჩვენთვის დიდი პატივია. ისინი, რა თქმა უნდა, წინასწარვე ფავორიტებად შერაცხეს, მაგრამ წინ ორი მატჩი გველის და ვფიქრობ, პორტუგალიის საგზურის მფლობელი სტამბოლში გამოვლინდება". ოსმალები მსაჯებს ყოველთვის ყურადღებით ეპყრობოდნენ და ახლაც გამოჩხრიკეს, რომ ჟილ ვესიეს „ბეშიქთაშ" — „მარიბორის", „გალათასარაი" — „იუვენტუსის" და თურქეთ-ირლანდიის მატჩებში უმსაჯია სამივე ფრედ დასრულებულა.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სავარაუდო შემადგენლობები

ლატვია: კოლინკო, სტეპანოვსი, ბლაგონადეჟდინსი, ისაკოვსი, ლობანიოვსი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, რუბინსი, ბლეიდელისი, ვერპაკოვსკისი, შტოლცერსი

თურქეთი: რუშთუ, ფათიჰი, ბიულენთი, ემრე აშიქი, იბრაჰიმი, ოკანი, ემრე ბელოზოღუ, თუგაი, ერგუნი, ჰაქან შუქური, ნიჰათი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

კარლოს სპენსერს და „შავებს" საუთარი თავის სჯერათ

ავსტრალია vs ახ. ზელანდია

15 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სტადიუმი»

ავსტრალია: როჯერსი, სეილორი, მორტლოკი, ფლეტლი, ტუკირი, ლარკემი, გრეგანი (კაპ); ლაიონზი, ვუ, სმიტი, შარპი, ჰარისონი, დარვინი, ქენონი, იანგი

სათადარიგონი: პოლი, ბაქსტერი, გიფინი, კოკბეინი, ვიტეკერი, გრეი, როფი

ახალი ზელანდია: მულიანინა, ჰაულეტი, მაკდონალდი, მეიჯერი, როკოკოკო, სპენსერი, მარშალი; კოლინზი, მაკქოუ, რ. სორნი (კაპ), უილიამსი, ჯეკი, სამერვილი, მეალამუ, ჰიუიტი

სათადარიგონი: ჰემეტი, მიიუსი, ბ. სორნი, ჰოლანი, კელეჰერი, კარტერი, რალფი

მსაჯი: კრის უაიტი (ინგლისი)

შავები ავსტრალიას მიადგნენ

ტურნირის ბადე იმგვარია, რომ ნახევარფინალური წყვილები სფეროების მიხედვით დაწყვილდნენ. დღეს სამხრეთელთა ჯახია, ხვალ ჩრდილოელთა. ასე რომ, ფინალში სწორედ სამ და ექვსერელები შეხვდებიან.

არცერთ ნახევარფინალს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს. თუმც სამხრეთელთა ჯახში მცირედი უპირატესობა ახალზელანდიელებს აქვთ და ეს ხდება მაშინ, როცა „ოლ ბლეგსს" არ ჰყავს ჯონა ლომუ, კრისტიან ქალენი, ენდრიუ მერთენსი, პოლ რობერტსონი... ნუ დავავიწყდება, რომ ეს ზემორაგბეები ზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა დატოვა უმსოფლიოსთასოდ და არა ტრავმებმა. ამასთან ავსტრალიას ვერ შეუტევს „შავების" შავტუხა კოლორიტი ტანა უმაგა, რომელსაც ჯვარედინი იოგები კი შეუხორცდა, მაგრამ მიტჩელმა ნახევარფინალს განარიდა, რა მიხვედრა უნდა საფინალოდ ინახავს. სჯერა კაცს თავისი გუნდის და რა ქნას. მოდი და ნუ დაიჯერებ: აქეთ ჯადო მეპასე კარლოს სპენსერი, იქით ლელოების მანქანა მილს მულიანინა და მფრინავი ფრთები ჯო როკოკოკო და დაგ ჰაულეტი. დაცვის ცენტრში ფეხჩუბინი ლეო მაკდონალდი და აარონ მეიჯერი, რომლებისგან კაცმა არ იცის, რას უნდა ელოდო. აღარაფერს ვამბობთ ათლეტურ და ხაზივით მობილურ შერკინებაზე, რომელთა კოორდინაცია და შეთანხმებული გადაადგილება ბდღვირს ადენს ნებისმიერი მეტოქის დაცვის ბასტიონს.

ახალზელანდიელთა შერკინების და მთლიანად გუნდის ყოჩი რუბენ სორნი: „ჩვენ წინა მსოფლიოს თასზე დიდი იმედგაცრუება ვიგემეთ. თითქოს უპირობო ფავორიტები ვიყავით, მაგრამ საფრანგეთმა ზღაპარში მოგვიგო. არ მინდა, ეს ახლაც განმეორდეს, ამიტომ ბიჭებს სულ ჩავჩიჩინებ, ნუ ვიქნებით ზედმეტად თავდაჯერებულები, თორემ დავისჯებით."

სორნი, ჯასტინ მარშალთან, ქიის მიიუსთან და ბაირონ კელეჰერთან ერთად იმ ოთხი წლის წინანდელი მატჩის მონაწილე იყო, ზელანდიის „ოცნებების მსხვრევად" რომ მოინათლა. ამაზე სორნი ამბობს: „მაშინ მართლაც ჩავისვარეთ. სწორედ ეს სიტყვა ასახავს ფრანგებთან ჩვენს მარცხს. ამიტომ ახლა ვამბობ, ან წლეულს გავხდებით ჩემპიონები ან არასდროს. ახალგაზრდებმაც იციან, რომ ეს ჩვენი ბოლო შანსია, სხვა შედეგით ყველანი გამოუსადეგარ და დაკარგულ თაობაში ჩავიწერებით ისტორიაში."

ახლა ავსტრალიელთა ბანაკშიც შევიხედოთ. „ვოლაბები" საგანგებო რეჟიმით ემზადებიან, მათი მწვრთნელი ედი ჯონსი კი ენაძვირობს — „ნამატჩევს ვისაუბროთ, მანამდე ლაპარაკით არ მინდა გონება დავღალო. ბევრი საფიქრალი დამიგროვდა."

ავსტრალია უძლიერესი რაზმით დაუდგება ახალ ზელანდიას. მომჯობინდა არგენტინასთან დამტვრეული ახმახი დევიდ გიფინი, ვინც სამარქაფო მორკინალი იქნება. კარში ისევ ელტონ ფლეტლი დაარტყამს, ხოლო აბორიგენი ლოთე ტუკირი ძირითადში დაიწყებს, მის მაგივრად სათადარიგო ჯო როფი იქნება.

ჯორჯ გრეგანი — „მეტოქეს ვურჩევ, წყნარად იყოს და არ იბაქიბუქოს. აქამდე ყველანი მოვითელეთ, ნაღდი ომი ახლა იქნება და აქ გამოჩნდება, ვინ უფრო მაგარია."

სტატისტიკის მიხედვით ახალი ზელანდია სანოემბროდ ვერ არის ფორმაში, ხოლო ავსტრალია პირიქით.

იმავე სტატისტიკით ბოლო 4 წლის მანძილზე ახალი ზელანდია და ავსტრალია 10-ჯერ დაეჯახნენ ერთმანეთს. აქედან 5 მატჩი ახალმა ზელანდიამ მოიგო, 5 კი ავსტრალიამ.

ბაჩო სვანიძე



ინგლისელები ძველებურად ზემოდან ვეღარ დაჰყურებენ მსოფლიოს თასს

ინგლისი vs საფრანგეთი

16 ნოემბერი. სიდნეი. «ტელსტრა სტადიუმი»

ინგლისი: ლუისი, რობინსონი, გრინვუდი, ქეთი, კოენი, უილკინსონი, დოუსონი; დალალიო, ბეკი, ჰილი, კეი, ჯონსონი (კაპ), ვიკერი, ტომპსონი, ვუდმენი

სათადარიგონი: ვესტი, ლეონარდი, კორი, მუდი, ბრაქენი, ტინდალი, ბოლშოუ

საფრანგეთი: ბრუსკე, რუჟერი, მარში, ფოზიონი, დომინისი, მიშალაკი, გალტიე (კაპ); არინორდოკი, მანი, ბესენი, ტიონი, პელუ, მარკონე, იბანესი, კრენკა

სათადარიგონი: გრუ, მილუ, ორადუ, ლაბიტი, მერსერონი, ტრაილე, პოიტრინუ

მსაჯი: ბადი ობრაიენი (ახალი ზელანდია)

მოგვაშორეთ იარლიყები!

დედოფლის ქვეშევრდომებს ქებამ აწყინა

სანამ მსოფლიოს თასი დაიწყებოდა, ინგლისს ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ასახელებდნენ თვით ყველაზე თავგამოდებული კონტრანგლიკანები — ფრანგები, ავსტრალიელები და საუცხოო ნაკრების მყოლი ახალზელანდიელებიც კი. მაგრამ აბა ახლა ვიკითხოთ, ფრანგებთან ნახევარფინალის წინ, ჩემპიონობის რა შანსს დაუტოვებენ პროგნოზისტები „ვარდებს". ჩემპიონობასაც თავი გავანებოთ, კლაივ ვუდვორდის მძიმედ შეჭურვილ ფეხოსნებს ჯერ ნატიფი ფრანგები ჰყავთ დასამარცხებელი. აღარავინ იძახის, რომ ფრანგები ძლეულები არიან, ხოლო ინგლისი უკვე ფინალშია. ბრიტების ფავორიტობა აპრილის თუ არა მარტის თავლივით დადნა.

მთავარი ფავორიტის იარლიყმა პირველ რიგში თავად ინგლისელებს აენო. „ვარდებთან" თამაშში ყველა წინასწარ დამარცხებულად ცხადდებოდა. ამიტომაც ვისაც არ დაეზარა, ყველამ თავისუფლად შეუტია ფავორიტებს და მართალია, ინგლისმა სამხრეთ აფრიკასაც მოუგო, სამოასაც და უელსსაც, მაგრამ, სამაგიეროდ დაკარგა თავდაჯერება.

კლაივ ვუდვორდი პირდაპირ იხვეწება — ფავორიტებს ნულარ გვეძახით, აბა ფრანგებს შეხედეთ, რითი არიან ჩვენზე სუსტებიო. თუმც ინგლისური პრესის საოცარმა უნარმა — დაჯერონ ყველანი ელისაბედ მეორის ქვეშევრდომების სხვებზე უპირატესობაში — უკვე ავნო „ვარდებს". ისინი სხვებზე შებორკილები გადიან მოედანზე.

ამ სხვებში კი პირველ რიგში საფრანგეთია აღსანიშნი. „მამლებს" არც ფავორიტის ტვირთი აწვებოდათ — აკი მსოფლიოს თასამდელ ტესტებში ინგლისთან წააგეს და ბევრისგან წინასწარ ჩამოწერნენ. ამდენად ისინი წყნარად ემზადებოდნენ გადამწყვეტი ჯახებისთვის. მაშინ როცა იგივ ვუდვორდი დღესა და ღამეს ათენებს ტაქტიკაზე და შემადგენლობაზე ტვინის ჭყლეტაში. „რა ვქნა, თუკი ჯონი უილკინსონს თამაში არ წაუვიდა ან ტრავმა მიიღე?" — რაღაც ამგვარი ფიქრები „ვარდების" მწვრთნელს ალბათ ჭამის დროსაც აფორიაქებს.

ამ დროს კი აი რას ამბობენ ფრანგები — „რაც ტურნირი დაიწყო, ჩვენთვის ყოველი დღე სიამოვნებაა, ჩვენ არავინ გვზღუდავს და აბსოლუტურად თავისუფლები ვართ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვფიქრობთ რაგბიზე, უბრალოდ, სრულად განტვირთულები ვართ თავისუფალ დროს, რათა შემდეგ, თამაშში მოედანსგარეთა დაძაბულობა არ შეგვყვეს." ეს ფრანგთა ვეტერანი ჰუკერის რაფაელ იბანესის სიტყვებია.

დაახლოებით იგივე ხასიათზეა „მამლების" კაპიტანი ფაბიენ გალტიე — „როგორც წესი, ჩვენ არავინ გვთვლის ფავორიტებად. ეს ხელს არ გვიშლის ჩვენი თამაში ვითამაშოთ. წინა თასზეც 1999-ში ვინ იფიქრებდა, რომ ახალ ზელანდიას დავამარცხებდით და ფინალში გავიდოდით. ის ტურნირი კიდევ ქაოტური იყო. ახლა ჩვენ უფრო მომზადებულები და ფოკუსირებულები ვართ."

რაც შეეხება თამაშს, ფრანგების მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა შეგირდებს პირველ რიგში ისევ და ისევ შეტევა დაავალა. თავისთავად ცხადია, ინგლისი ნაკლებად აბოგინებს ფრანგებს, ვიდრე მეოთხედფინალში ირლანდიელები, მაგრამ თუ ფრანგებმა ბურთი მოიგდეს, ინგლისის ნაქებ დაცვას უსერიოზულესი გამოცდა ელის. ფრანგებისთვის მთავარი საფრთხე „ვარდების" 10 ნომერ უილკინსონისგან მოდის, რომელიც ნესვა ბურთს კიდევ უფრო ზუსტად ურტყავს, ვიდრე დევიდ ბექემი მრგვალს. ფრანგები თავდაცვის დროს სწორედ უილკინსონზე ინადირებენ და მისი განეიტრალება ძირითადად „მამლების" გრძელხელება მესამეხაზელებს სერჟ ბესენს, ოლივიე მანინს და იმანოლ არინორდოკის დაევალებათ.

ვუდვორდი ცდილობს თავი დაიზღვიოს და ძირითად 15-ში ნომინალური შუამარბის მაიკ ტინდალის ნაცვლად 12 ნომერზე სამარქაფო დამრტყმელი მაიკ ქეთი დააყენა. ესეც ერთ-ერთი ნიშანი ინგლისელთა თავკაცის ნერვიულობისა. ნორმალურ სიტუაციაში მას ყოველთვის ტინდალი ერჩივნა 12 ნომრად.

ვუდვორდს მცირედით გამოუკეთა გუნება მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი 6 ნომრის რიჩარდ ჰილის გამოჯანმრთელებამ. ჰილი თავის ადგილს დაიჭერს შერკინების მარცხენა ფრთაზე. სხვა მხრივ კი ინგლისი მსოფლიოს თასზე ჯერჯერობით პირველ ტოლძალოვან მეტოქესთან ძველი გვარდიით წარდგება.

კოტე ყორღანია

საქართველოს ჩემპიონატი

14 ნოემბერი. ვერის ბაღი

თსუ 84:61 ბასკო

22:9, 18:25, 16:13, 28:14

თსუ: თორთლაძე (23), მაისურაძე (23), ნაცვლიშვილი (11), კილაძე (4), შენგელია (7); მარხვაშვილი (4), სანიკიძე (1), ვეფხვაძე (3), ორმოცაძე (4), კოკოლიშვილი (4)

ბასკო: ი. ბერიშვილი (11), ბ. ბერიშვილი (2), კეშელავა, ტუჯანი (8), ბერძენიშვილი (10); დ. ბერიშვილი, ჩხატარაშვილი, კვიმსაძე (10), როდუმტა (4), იმნაძე (16)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ქუთაისი 62:99 რუსთავი

7:25, 14:25, 15:26, 16:23

ქუთაისი: ცერცვაძე (8), შანიძე (18), კოღუაშვილი (2), ნიჟარაძე (6), შავლაყაძე (12), პირტახია (14), ბადრიძე (2)

რუსთავი: გაბისონია (2), ტყეშელაშვილი (11), ბერუაშვილი (12), დანელიანი (6), ჩაჩუა (2), არწივიძე (14), აბრამიძე (3), ჩხეიძე (13), ჯაფარიძე (4), გოგობერიშვილი (29), ჯიმშელეიშვილი (3)

მსაჯები: ზურაბ ანდრიაძე, ლიკა ქაჯაია

კომისარი: როლანდ გელოვანი

ჯერ კალათბურთი, მერე მიტინგი

უნივერსიტეტმა ბათუმი გააჩუმა

თუ ახლა რომელიმე გუნდზე მუშაობს დრო, პირველ რიგში უნივერსიტეტის გუნდზე. თსუ-მ ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაოდ მძლავრი შემადგენლობა შეკრიბა, თუმც გამოცდილ ახალწვეულთა ნაკადი ჯერაც არ წყდება. გუშინ „ბასკოს“ წინააღმდეგ თსუ-ელებმა მორიგი ახალწვეული, კუნთმაგარი და შეუპოვარი ნუგზარ კოკოლიშვილი ათამაშეს, სულ მალე კი სტუდენტებს კიდევ უფრო სარგებლიანი ლევან ქარაბაკიც შეემატებათ.

აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სტუდენტები თამაშის ხარისხს კიდევ უფრო გააუმჯობესებენ, მერე კი ნაღდად გაუჩნდებათ რეალური საჩემპიონო ამბიციები.

გუშინდელი მატჩის შედეგით თუ ვიმსჯელებთ, თსუ უკვე შეიძლება მივიჩნიოთ საჩემპიონო გუნდად. სტუდენტებმა პირველი წრის მომგები ბათუმელები როგორღაც ოფლისმოუდენლად დაამარცხეს.

შეხვედრამ საკმაო აჟიოტაჟი გამოიწვია, ტრიბუნებზე ის სტუდენტები შეკრებილიყვნენ, რომლებმაც პარლამენტთან დანიშნულ მიტინგზე წასვლა კალათბურთის სიყვარულის გამო გადადეს. დროშებმომარჯვებულ ახალგაზრდებს არც უნანიათ, საქომაგო გუნდის გამარჯვებით გულანთებულები გაემართნენ პარლამენტისკენ.

თავად მატჩი კი ვერ გამოდგა საინტერესო. თსუ თავიდანვე დიდი სხვაობით დაწინაურდა და საბოლოოდ 23 ქულით იმარჯვა. იყო ეპიზოდი, როცა ბათუმელებმა თითქოს გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს მატოქესთან 4 ქულით მიახლოვებულები, კვლავ უიმედოდ ჩამორჩნენ.

სტუდენტებმა ქულების საგროვებლად მარტივი გზა აირჩიეს — სამქულიანები. საწყის წუთებში ყველა სროლა ჩაგდო თსუ-ს მოუსვენარმა გამთამაშებელმა დავით თორთლაძემ, რომელმაც მიჯრით მითვლილი 11 ქულით თავისიანები 19:6 დააწინაურა.

თორთლაძეს არც ირაკლი მაისურაძე ჩამორჩა და მე-15 წუთისთვის სტუდენტები უკვე 19 ქულას იგებდნენ. „ბასკოს“ უკანა ხაზი აშკარად ჩაუვარდა. ვერც ბათუმელი მეფარეები. მძლავრობდნენ. სტუმართა სამწვამიანში მალიმალ გაძვრებოდა ხოლმე ბასკოელ ცენტრებზე დავით ბერძენიშვილსა და დავით იმნაძეზე ბევრად ტანმორჩილი გიგი ნაცვლიშვილი, რომელიც საჭირო ქულებს უხვეჭდა სტუდენტებს.

„ბასკო“ გონს ტაიმის მიწურულს მოეგო, როცა მოედანზე შესულმა ბუბა კვიმსაძემ სისწრაფე შემატა ბათუმელთა შეტევებს, სამარქაფიო იმნაძეც ოდნავ გამოფხიზლდა და მაშინ იყო, ნუგზარ კანდელაკის გუნდმა ანგარიში 4 ქულამდე რომ შეამცირა.

მესამე მეოთხედი დუნე და თანაბარი გამოდგა. ორივე გუნდმა ძალები აშკარად გადამწყვეტი ათწუთეულისთვის შემოინახა და როცა გვეგონა, ბოლო მეოთხედში საინტერესო ბრძოლას ვნახავდით, სწორედ ეს პერიოდი აღმოჩნდა ყველაზე შეუხედავი. ეტყობა, „ბასკომ“ იფიქრა, მორჩა, თორთლაძე და მაისურაძე მოვთოკეთ და გულისყური ფარქვეშა სივრცეებზე გადაიტანა. არადა, სწორედ ეს ორი კალათბურთელი შეიქნა ბათუმელთა განადგურების შემოქმედი. თორთლაძემ პირველ მეოთხედთან შედარებით არანაკლები სიჩუბინე გამოიჩინა და როცა საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე თსუ-ს უპირატესობამ 15 ქულას გადააჭარბა, ბათუმელები საბოლოოდ გატყდნენ.



თსუ-ელმა დავით თორთლაძემ ბათუმელებს სიჭა გააცალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ფოლიანტ ბეჟანიძისა

შემდეგ გაიმართა „ქუთაისი“ — „რუსთავის“ ყოველად უინტერესო მატჩი, რომელიც, რა თქმა უნდა, ქვემოქართლელებმა მოიგეს.

ირაკლი პერტაია

ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ამ ზაფხულს გადასული გიორგი მამაცაშვილი გაურკვევლობაშია. ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, გათავისუფლების ფურცლის უქონლობის გამო ვერც ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს და სხვა კლუბშიც არ ანათხოვრებ.

ბეს. მამაცაშვილი ამ დღეებში ამერიკიდან გორენცს გაუმართა მუშტი-კრივი

გინდა ევროპასპორტი?

მამაცაშვილი მხდალი არაა



მაცდუნებელი არჩევანის წინაშე დგას 16 წლის მამაცაშვილი. სასწორის ერთ მხარეს დევს ფიქტიური ოლიმპიაკოსელობა, ბუნდოვანი მომავალი და გაფუჭებული ურთიერთობები საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისა და შესაბამისად ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, მეორე მხარეზე კი — ბერძნულ გრანდში საბოლოოდ ჩარიცხვა, ელინთა ნაკრებში თამაშის პერსპექტივა და სადღეისოდ უამრავი ქართველის სანატრელი ევრო-იკავშირული პასპორტი. აქამდე მხოლოდ ერთ ქართველ კალათბურთელს უთამაშია უცხო ქვეყნის ნაკრებში, ზაზა ენდელაძე რამდენიმე წლის წინ თურქებს ეშველებოდა. მართალია, მამაცაშვილი ჯერ არ აპირებს მოქალაქეობის გამოცვლას, მაგრამ ცთუნება, როგორც ხედავთ, ძალიან დიდია...

თავის მენეჯერ ალექსანდრ რაშკოვიჩს ელის და „ოლიმპიაკოსის“ ხელმძღვანელობასთან აპირებს საუბარს. მანამდე კი გიორგიმ საბერძნეთში უკვე მეორედ იჩხუბა. ჯერ იყო და, ვილაც სპარტელ ბიჭთან მოუვიდა გაწევგამოწევა, გუშინწინ კი თანაგუნდელ ბორის

— „ოლიმპიაკოსის“ ძირითად გუნდში ვერ მოვხვდი. მხოლოდ ვვარჯიშობ და არ ვიცი, როდის მომიწევს თამაში.

— მწვრთნელები რას გეუბნებიან?

— კი მაიმედებენ, ითამაშებო, მაგრამ ეს როდის იქნება, არ ვიცი. ძირითად გუნდში მე-12 კაცად ერთი ახალგაზრდა ბიჭი ჩაჯდა, რომელიც შარშან მეორე ლიგის საუკეთესო მოთამაშე გახდა. კონკურენცია დიდია. ჩემს გარდა, კიდევ ორ კალათბურთელს სურს პირველ გუნდში მოხვედრა.

— ის ბიჭი, ძირითადში რომ მე-12 კაცად ჩაჯდა, ალბათ განათხოვრებული ჰყავდათ მეორე ლიგაში. შენც გაგიშვან სადმე, სათამაშო პრაქტიკა ხომ გჭირდება...

— არა, ის წლეულს შეიმატეს, ჩემი საბერძნეთში განათხოვრების უფლება კი არა აქვთ. აქ ასეთი წესია, თუ ლეგიონერი ხარ, ბერძნულ კლუბში ვერ გაგანათხოვრებენ, ევროპაში უნდა გაგიშვან.

— რა მნიშვნელობა აქვს, ევროპაში რა, არ წახვიდოდი?

— რატომაც არა, თამაში ძალიან მენატრება. იმ დღეს კლუბის მენეჯერს ველაპარაკე, რას მიპირებთ, თუ არ მათამაშებთ, სადმე მაინც გამიშვით-მეთქი. მალე ჩემი მენეჯერი რაშკოვიჩი ჩამოვა ამერიკიდან და მწვრთნელებს დაელაპარაკება.

— რომც დააპირონ, მაინც ვერ ითამაშებ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ გათავისუფლების ფურცელი ხომ უნდა მოგცეს...

— არ ვიცი, აქაურები ჯერ არ ითხოვენ მაგ დოკუმენტს.

— გავიგეთ, მოქალაქეობას გთავაზობენ...

— ჰო, მეუბნებიან, ბერძნულ პასპორტს გაგიკეთებთ და ითამაშებო. თუ აქაურ მოქალაქეობას მივიღებ, ბუნებრივია, აღარც ლეგიონერად ჩავითვლები და კონკურენციაც გაცილებით ნაკლები იქნება.

— მერე რას აპირებ?

— აქ რომ მოვდიოდი, ჩემი მენეჯერი მეუბნებოდა, მოქალაქეობას მოგცემენ და საბერძნეთის ნაკრებშიც ითამაშებო. ბერძნული პასპორტი თუ მექნება, როგორც ევროკავშირელი, აღარც სხვა ევროპულ ქვეყნებში ჩავითვლები ლეგიონერად.

— ბერძნული პასპორტი რომ აიღო, საქართველოს ნაკრებში ვეღარ ითამაშებ?

— ვერა, ჩვენს ქვეყანას ორმაგი მოქალაქეობის შესახებ კანონი არა აქვს და თუ აქაურ პასპორტს ავიღებ, საქართველოს ნაკრებშიც ვეღარ ვითამაშებ. ზაფხულში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელს რომ ვუთხარი, „ოლიმპიაკოსი“ შეკრებაზე მეძახის და უნდა წავიდე-მეთქი, ერთი ამბავი ატეხეს, ახლა კი პასპორტის ამბავი რომ გაიგონ, მთლად მომიძულებენ.

— კი მაგრამ, ხომ არ აგიღია ბერძნული პასპორტი, ვინ რა უნდა თქვას?!

— არ ამიღია და არც ვაპირებ. ჯერ ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს.

— ამჟამად როგორ ვარჯიშობ?

— სხვათა შორის, არც ვარჯიშებით ვარ კმაყოფილი. მე კი ვინდომებ, მაგრამ სრულფასოვანი ვარჯიში ყოველთვის არ გამომდის. „ოლიმპიაკოსი“ ხან სად დადის თამაშებზე და ხან სად, გუნდთან იშვიათად მიწევს ვარჯიში. ძირითადად მე და ორი ჩემი ტოლი ბიჭი ვიკრიბებით ხოლმე.

„ოლიმპიაკოსთან“?

— გუშინ, და სერიოზული კონფლიქტიც მომივიდა სლოვენიელ ბორის გორენცთან.

— გორენცს ხომ სლოვენიიდან იცნობ და როგორც თქვი, კარგი ურთიერთობაც გქონდა. ასეთი რა მოხდა?

— რა და ძალიან ამაყობს გუნდში საკუთარი მდგომარეობით. რაკი ლიდერია, ჰგონია, რომ ყველაფერი ეპატიება. ერთმანეთში ვთამაშობდით და ის ჩემს გუნდში იყო. ბურთი მე გადამქონდა მეტოქის ნახევარზე, გორენცი წამდაუწუმ მიყვიროდა, პასი, პასიო და მეც ვაძლევდი. ერთხელაც აღარ მივეცი და სამიანი ვესროლე. ეს რა გააკეთე, ვერ გაიგონე, პასს რომ გთხოვდიო, ხმამაღლა დამიყვირა. ისედაც დაბოღმილს ნერვები ამეშალა, შევაგინე და ჩხუბიც დაიწყო. თამაშის შემდეგ უკნიდან მომეპარა და ზურგში დამარტყა, ხელმეორედაც ვიჩხუბეთ. მწვრთნელ-მოთამაშეებმა ძლივს გაგვაშველეს.

— მერე მაგ ინციდენტს კლუბის უფროსობისგან სადამსჯელო ზომები არ მოჰყვება?

— თუ მოჰყვება და გორენცია დასასჯელი, თავში აქვს ავარდნილი და ვერ ხვდება, ისე გაყენებს შეურაცხყოფას. ყველამ დაინახა, რომ უსამართლოდ მომექცა, დამამცირა და მწვრთნელებსაც არ გავუმტყუნებივარ.

— რაც საბერძნეთში ხარ, უკვე მეორედ იჩხუბე...

— ხულიგანი არა ვარ, უმიზეზოდ ვიჩხუბო, მაგრამ ზღვარგადასულ შეურაცხყოფას ვერ ავიტან.

ირაკლი პერტაია

ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 12-13 ნოემბერი

ბოისამ მდივანი სკამზე დატოვა

ტურის ყველაზე დრამატული მატჩი პოში გაიმართა სლოვენიურ „ოლიმპიასა“ და ფრანგულ „პორტეზს“ შორის, რომელიც ერთგვარ „ქართულ“ დერბად შეგვიძლია მოვნათლოთ. ლიუბლიანურ კლუბში ვლადიმერ ბოისა კარგა ხანია, ბურთაობს, გიორგი მდივანი კი „პორტეზში“ პირველ ნაბიჯებს დგამს. გუშინ გიო პირველად გამოჩნდა საფრანგეთის ჩემპიონთა საევროლიგო განაცხადში, მაგრამ, სამწუხაროდ, სადებიუტო მატჩში სათადარიგოობას ვერ გასცდა.

„ძალიან მიხაროდა, ბოისას გუნდის წინააღმდეგ რომ შემიყვანეს ბოლოებმა პირველად განაცხადში — გვითხრა გუშინ მდივანმა — ვფიქრობდი, ჩემი საევროლიგო დებიუტი „ოლიმპიასთან“ შედგება და ვოვას წინააღმდეგ მომიწევს თამაში-მეთქი, მაგრამ...“

არადა, ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ გიორგის დებიუტი სწორედ „ოლიმპიასთან“ უნდა შემდგარიყო. პოელები მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე 12 ქულით უგებდნენ მეტოქეს და მასპინძლებს ცოტაც რომ გაეძლოთ, თამაშის ბედი გაირკვეოდა და „პორტეზის“ მწვრთნელიც ალბათ მისცემდა ქართველ თინეიჯერს საშუალებას, ევროლიგისთვისაც გაეგო გემო. არ გამოვიდა...

„მატჩის მიწურულს ჩვენმა უპირატესობამ 10 ქულას რომ გადააჭარბა, გული საშინლად ამიფრიალდა, ფეხებს ადგილზე ვერ ვაჩერებდი, ვგრძნობდი, ჩემი დებიუტის დრო ახლოვდებოდა. თუმც მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა, ასეთი იმედგაცრუება არასდროს განმიცდია. თვალის დახამხამებაში ლიუბლიანელებმა 4 ქულამდე შეამცირეს სხვაობა და ცხადი გახდა, რომ მოედანზე აღარ გამიყვანდნენ“ — სინანულით ამბობს პოელთა ქართველი ფორვარდი.

მდივნის დებიუტი რომ არ შედგა, ამაში ნაწილობრივ ბოისაც შეიძლება დავადანაშაულოთ. ოლიმპიელთა იმ შტურმში, პოელთა ორციფრიანი უპირატესობა 4-მდე რომ შეკვეცა, ვოვაც მონაწილეობდა. ბოისასა და ლიტველი ევროჩემპიონის რობერტას შტელმახერსის ქულებით ლიუბლიანელებმა შანსი შეინარჩუნეს და მასპინძლები ოვერტაიმში დაამარცხეს.

დამატებით დროში ბოისას აღარ უთამაშია, ვოვამ ოლიმპიელთა იმ შტურმის შემდეგ მალევე მიიღო მე-5 პერსონალური და მოედანი 10-ქულიანი მონაგარით დატოვა.

რაც შეეხება მანუჩარ მარკოიშვილს, „ბენეტონის“ მწვრთნელმა მას დანაპირები არ აუსრულა და „ტაუსთან“ მხოლოდ 2 წუთით გაიყვანა მოედანზე. არადა, მანუჩარმა სერია-A მატჩში „როზეტოს“ 18 ქულა რომ ჩაუგდო, ეტორე მესინამ უთხრა, „მანო“, „ტაუსთან“ თამაშისთვის მოემზადე, ესპანელთა მწვრთნელი შენზე ყურადღებას გაამახვილებსო. მარკოიშვილიც უეჭველად მომზადებული იქნებოდა, მაგრამ მესინმ ის ოდენ 120 წამი ათამაშა.

ალბათ კიდევ კარგა ხანს არ უწერია თამაში არმიელ გიორგი ცინცაძეს, რომელიც ცსკა-ს სარეზერვო გუნდშია და, როგორც ჰპირდებიან, ევროლიგაში იანვარში მოუწყობენ გამოცდას. დუშან ივკოვიჩის ცსკა მალაგაში ეომა დუშკო ივანოვიჩის „უნიკახს“ და დაძაბულ ფინალში იმარჯვა. ორი დიდი სერბის რუსულ-ესპანური სამწვრთნელო დუელი მოსკოველმა ივკოვიჩმა მოიგო.

ირაკლი პერტაია



პარტიზანელი ჯურო ოსტოჯიჩი ულქერელ ქერემ გონლუშს გაურბის

A ჯგუფი

პარტიზანი 77:68 ულძერი
პარტიზანი: ოსტოიჩი (21)
ულძერი: ბლერი (21)

ბარსელონა 77:60 ციბონა
ბარსელონა: ნავარო (18)
ციბონა: ფიჟიჩი (18)

აეკ 79:77 რომა
აეკი: ნ. ზისისი (19)
რომა: რიგეტი (18)

პო ორტეზი 89:91 ოლიმპია
ძირითადი დრო 84:84
პო ორტეზი: ფულიანი (18)
მდივანი სათადარიგო იყო
ოლიმპია: რაჰიმიჩი (17), ბოისა (22 წუთი, 10 ქულა)

ბარსელონა	2	2	0	+19	4
ოლიმპია	2	2	0	+4	4
პარტიზანი	2	1	1	+7	3
ულძერი	2	1	1	-3	3
აეკ	2	1	1	-4	3
ციბონა	2	1	1	-16	3
პო ორტეზი	2	0	2	-3	2
რომა	2	0	2	-4	2

B ჯგუფი

სიენა 64:56 ძალგირისი
სიენა: სტეფანოვი (14)
ძალგირისი: საბონისი (16 ქულა, 18 მოხსნა)

უნიკახა 62:65 ცსკა
უნიკახა: ბალოკი (15)
ცსკა: ბრაუნი (21)

კრკა 81:85 მაკაბი
კრკა: დუშაკი (15)
მაკაბი: პარკერი (19)

პანათინაიკოსი 75:64 სკიპერი
პანათინაიკოსი: ხაძივრეტასი (19)
სკიპერი: ბაზილე (19)

მაკაბი	2	0	2	+19	4
ცსკა	2	0	2	+16	4
პანათინაიკოსი	2	1	1	+5	3
სკიპერი	2	1	1	0	3
ძალგირისი	2	1	1	-2	3
სიენა	2	1	1	-5	3
კრკა	2	0	2	-15	2
უნიკახა	2	0	2	-18	2

C ჯგუფი

ალბა 53:67 შლიონსკი
ალბა: პეტროვიჩი (14)
შლიონსკი: ვოიჩიკი (21)

ბენეტონი 92:99 ტაუ
ბენეტონი: მარკონატო (21), მარკოიშვილი (2 წუთი)
ტაუ: ნოჩიონი (36), მასიაუსკასი (32)

ოლიმპიაკოსი 69:77 პამესა
ოლიმპიაკოსი: ვოლკოვისკი (19)
პამესა: დიკუდისი (16)

ეფესი 69:44 ვილერბანი
ეფესი: გრანგერი (16)
ვილერბანი: სუჩუ (11)

პამესა	2	2	0	+33	4
ეფესი	2	2	0	+29	4
შლიონსკი	2	2	0	+16	4
ტაუ	2	1	1	+3	3
ვილერბანი	2	1	1	-23	3
ოლიმპიაკოსი	2	0	2	-10	2
ალბა	2	0	2	-16	2
ბენეტონი	2	0	2	-32	2

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკსმა მეფური სალამო მოიწყო

13 ნოემბერი

პორტლენდი 112:110 საკრამენტო
ძირითადი დრო 105:105
პორტლენდი: სტუდემაიერი (17), ველსი (27), ვოლესი (26), რენდოლფი (28 ქულა, 14 მოხსნა), დევისი (4); მაკინისი (10), ვუდსი
სტეფანია სათადარიგო იყო
საკრამენტო: ბიბი (26 ქულა, 15 პასი), კრისტი (10), სტოიაკოვიჩი (27), მილერი (8), დივაცი (13); ჯეკსონი (16), მასენბურგი (10)

ჩიკაგო 89:92 მინესოტა
ძირითადი დრო 82:82
ჩიკაგო: როზი (25), კარი (15)
მინესოტა: სპრიუელი (27), გარნეტი (19 ქულა, 17 მოხსნა), კასელი (17)

დალასი 97:86 ჰიუსტონი
დალასი: ნოვიცკი (27), უოლკერი (17 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ნეში (16)
ჰიუსტონი: ჯეკსონი (23), ფრენსისი (15)

13 ნოემბერი მორის ჩიკსის დღე იყო. „პორტლენდის“ მწვრთნელს კლუბის ბოსებმა ერთი წლით გაუხანგრძლივეს კონტრაქტი და თურამე დაუგეგმავი არ შეემთხვა, ჩიკსი 2006 წლის ზაფხულამდე უმეთაურებს „ბლეიზერსს“.

ცხადია, წინასწარ ნდობის გამოცხადება ჩიკსს კარგ ხასიათზე მოიყვანდა, თუმც ის იმ დღეს უთოოდ სხვა უფრო მძაფრი განცდებით იქნებოდა აფორიაქებული — იმ საღამოს მისმა „პორტლენდმა“ „საკრამენტოს“ უდაბურესი თამაში მოუგო. „საკრამენტომ“ მიზანს პრაქტიკულად პირველივე ტაიმში მიაღწია, როცა მასპინძლებს 18 ქულით გაექცა. შემდეგაც, მესამე მეოთხედში, „მეფეებმა“ სხვაობა 24 ქულამდე გაზარდეს, თუმც ჩიკსის ბიჭებმა გაუძლეს დაწოლას, მეორე ტაიმში ერთ მუშტად შეკრულებმა მწყობრად შეუტიეს და მიაღწიეს კიდეც საწადელს მოლოდ ოვერტაიმში. ჩიკსმა შეატყო, რომ ლიდერებს თამაში მისდიოდა და მოერიდა შეცვლებს, მთელი თამაში შვიდი კაცით ებრძოდა მომხდურს და არც ვოვა სტეფანია და არც ოთხი სხვა სათადარიგო არ აუყენებია სკამიდან.

ასევე ოვერტაიმიანი თამაში გაიმართა ჩიკაგოში. „ჩიკაგო ბულზი“ ყოჩაღად მუშაობს უუხო გუნდის იმიჯის ჩამოსარეცხად და ყველა შემხვედრს ბოლომდე უშრობს სისხლს. აგერ, ვარსკვლავებით მოოჭვილ „მინესოტას“ ინჩი არ დაუთმო და საქმე საოვერტაიმოდ გაუხადა. ეგაა, წარმატება ნელა მოდის და გუშინწინ „ბულზი“ უსაჩუქროდ დარჩა — წააგო, თანაც ბოლო მეოთხედში წამყვანი უკანახაზელი ჯამალ კროუფორდი დაუშავდა. კროუფორდი წაიქცა, კეფა პარკეტს დაჰკრა და ლამის გონება დაკარგა, მოედნიდან სხვისი დახმარებით გავიდა და საჰოსპიტალე შეიქნა.

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

ნეშვილმა გაიძნია და მოხვდა

13 ნოემბერი

ნეშვილი 4:1 კალგარი
1:1 1:0 2:0
0:1 ლუდმანი (7), 1:1 ფიდლიცკი (20), 2:1 ორზაგი (26), 3:1 ლეგვანდი (53), 4:1 ჰოლი (58)

„მტაცებლები“ წლეულს აშკარად ცდილობენ თავიანთი მეტსახელის გამართლებას. დღესდღეობით ნეშვილელთა აქტივში 24 „დიდი“ ჯარიმაა (ერთი ჯარიმა 5 წუთით განისაზღვრება), რომლითაც ჩხუბის მონაწილეები ისჯებიან. გასული სეზონის განმავლობაში კი სულ 13 ამგვარი დარღვევა ჰქონდათ.

„დეტროიტთან“ მატჩში გამართული შეხლა-შემოხლის შემდეგ ხომ სულ გათამამდა „ნეშვილი“ და თვით მეკარე ტომაშ ვოკოუნაც კი მადაზე მოვიდა. მატჩის დასრულებამდე 25 წამით ადრე ჩეხმა გოლკიპერმა კალგარელ ჯერომ იგინლას იდაყვი გაარტყა და... დაიწყო კიდეც საქმეების გარჩევა. ეს ორი მოთამაშე ამ წლის დასაწისში, იანვარშიც შეეტაკნენ ერთმანეთს, თავისებური გაგრძელება იყო. ვოკოუნმა თავი იმართლა, შემთხვევით დავეჯახე იგინლასო, სამაგიეროდ, დაზარალებული თვლის, რომ ვოკოუნმა აშკარად ჯავრი იყარა.

ფინიქსი 3:2 კოლორადო
0:1 0:1 2:0 1:0
0:1 საკიკი (18), 0:2 რ. ბლეიკი (26), 1:2 სავარეი (50), 2:2 ნადი (53), 3:2 რადივოევიჩი (62)

ოტავა 5:2 კოლუმბუსი
1:2 3:0 1:0
0:1 ნეტოვსკი (3), 0:2 ვიბორნი (9), 1:2 ბონკი (10), 2:2 ხარა (23), 3:2 ჰოსა (33), 4:2 რედენი (38), 5:2 ჰოსა (43)

კაროლინა 5:1 ატლანტა
2:1 1:0 2:0
1:0 კოული (1), 1:1 შტეფანი (4), 2:1 ვასიჩეკი (10), 3:1 ბრინდამორი (40), 4:1 ფრენსისი (55), 5:1 ადამსი (57)

აილენდერსი 3:1 მონრეალი
1:0 1:1 1:0
1:0 კვაშა (12), 1:1 დაკელი (23), 2:1 პერიში (38), 3:1 ჯ. ბლეიკი (60)

ფილადელფია 4:3 ვანკუვერი
1:1 1:0 1:2 1:0
1:0 რეკი (17), 1:1 კინგი (19), 2:1 ჰანდზუსი (27), 2:2 კუკი (49), 3:2 დეფარდინი (57), 3:3 ბერტრუცი (60), 4:3 განიე (62)

ნიუ ჯერსი 3:1 ფლორიდა
0:0 3:1 0:0
1:0 ელიაში (27), 2:0 ჯიონტა (34), 3:? ჰანდლფო (36), 3:1 უაისი (40)

მინესოტა 0:2 ედმონტონი
0:2 0:0 0:0
0:1 მორო (2), 0:2 იორკი (16)

ლოს ანჯელესი 4:4 ტორონტო
1:0 3:1 0:3 0:0
1:0 ფროლოვი (9), 1:1 რენბერგი (23), 2:1 ფროლოვი (27), 3:1 რობიტაილი (34), 4:1 ამსტრონგი (40), 4:2 რობერტსი (45), 4:3 მოგილნი (53), 4:4 ნოლანი (57)

სან ხოსე 3:4 სენტ ლუისი
0:1 0:0 3:2 0:1
0:1 ბერონი (13), 0:2 დრეიკი (41), 0:3 დანტონი (46), 1:3 შტურმი (50), 2:3 შტურმი (50), 3:3 რიჩი (51), 3:4 ჩაიანეკი (65)

სომხები ერთმანეთს ტეხასშიც შეხვდნენ ერთმა იჩხუბა



დავიდ ნალბანდიანმა ბევრი იდავა, მაგრამ ანდრე აგასისთან მაინც მშრალზე დარჩა

მასტერსთასი
ჰიუსტონი. მაგარსაფარი
საპრიზო 3,7 მილიონი $

წითელი ჯგუფი

რაინერ შუტლერი (6, გერმანია) — ენდი როდიკი (1, აშშ) 4:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:3)

რაინერ შუტლერი უკვე 27 წლის ჯეელია და პროფესიულ ჩოგბურთსაც 1995 წლიდან თამაშობს, მაგრამ ასეთი საუცხოო სეზონი მას აქამდე არასოდეს ჰქონია. ამაზე უწინარესად მის მიერ წლეულს მოგებული ორი, ლიონური და ტოკიოური ტიტული და ჯამში ნაჭირნახულევი მილიონნახევარი დოლარი მეტყველებს. შესადარებლად — წლევანდლამდე შუტლერს მხოლოდ ორი ტიტული და საპრიზოდაც ორ მილიონზე ცოტა მეტი დოლარი ეშოვა.

ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ წლეულს მან ჰიუსტონამდე ლიდერთაგან ყველაზე მეტ, 27 ტურნირში იმონაწილევა და 28 მარცხის წილ უკვე 69 გამარჯვება მოაქუჩა, ვგონებ, კომენტარი ზედმეტიც იყოს.

ისე კი, შუტლერმა და როდიკმა წლეულს უკვე მესამედ ითამაშეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნაღდმა არიულმა ფიცხსა და ჯერაც მომაჭრე ენდიბოის სამივე მოუგო — პირველად ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში, მერე ინდიანაპოლისურ მეოთხედფინალში და ახლა კი სულაც ამერიკულ მაგარსაფარზე.

ოღონდ ამ მესამე მოგებას შუტლერისთვის მაინც გამორჩეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაკიღა ამ ჯერზე მან არა უბრალოდ ზეთიუულელ მეწივნეს სძლია, არამედ მოყმეს, ვინაც სეზონს უკვე ყველა შემთხვევაში ამქრის პირველოსნად გაასრულებს.

გილერმო კორია (4, არგენტინა) — კარლოს მოია (7, ესპანეთი) 6:2, 6:3

შუტლერისა არ იყოს, 21 წლის არგენტინელი გილერმო კორიაც წლეულს შეუდარებლად ბურთაობს. ამის დასტურად მის მიერ ამ სეზონში მორეწილი ხუთი — ბაზელური, ჰამბურგმასტერსული, შტუტგარტული, კიცბიუელური და სოპოტური ტიტული პლუს 1,76 მილიონი დოლარიც იკმარებს.

შუტლერთან საპირველტურო წაფორხილებამ ჭაბუკ გაუჩოს გუნება არ გაუფუჭა, ტურნირის 1998 წლის ფინალისტ მოიას ისევ ბასრად ეკეჭნავა და პირველი მოწოდებიდან საათნახევრის თავზე დამაჯერებლადაც სძლია.

ეს მათი მეხუთე შეხლა იყო. აპრილში, მონტეკარლოურ ნახევარფინალში დაჯახებამდე ესპანელი 2:1 იგებდა, მაგრამ კორიამ იქაურ თიხნარზე რომ გაუთანაბრა, ჰიუსტონურ მაგარსაფარზე უკვე წინაც გაიჭრა.

ლურჯი ჯგუფი

ანდრე აგასი (5, აშშ) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:6 (12:10), 3:6, 6:4

შიდასომხური განდაგანა დიდებული სანახავი გამოდგა — 33 წლის ჯადო ანდრეს აბდაბუდებს მასზე თერთმეტი წლით უმცროსმა გაუჩომ მძლავრი, ძალზედ გონივრული ბურთაობა შეაგება და ქომაგმა მაღალი დონის სეირი იხილა.

პირველ სეტში აგასი 4:1 იგებდა, მაგრამ შემდეგ დაბრკოლდა და მეტოქეს წამოწევის საშუალება მისცა — 4:4. სეტის დამლევს, 5:5-ზე მათ ერთმანეთს თითო-თითო გეიმი კიდევ წაჰგვარეს და საბოლოოდ ყველაფერი უდაძაბულეს ტაიბრეიკში გადაწყდა, სადაც უფრო იღბლიანი და უფრო მარჯვე ბებერი გამოდგა.

ოღონდ ერთი ეგ იყო, რომ ორიოდ მომენტში ნალბანდიანს მთავარმსაჯ ენრიკე მოლინას მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ტენდენციურად მოეჩვენა და დიდი ხიპიშიც ატეხა — აქაოდა, მასპინძელს ემხრობითო. საქმე ისე ადუღდა, რომ მოდავეთა დასაშოშმინებლად კორტზე გადაჭრა ეიტიპის ზედამხედველ მარკ დარბისაც კი მოუხდა.

ისე, საკამათო მომენტების კომპიუტერული ანალიზის ნახვა მილეთს კორტზე დამონტაჟებულ დიდ ეკრანზეც შეეძლო და იქ უსათუოდ მოსჩანდა, რომ ყველა ამ შემთხვევაში მოლინა ტეხასურ ცამდე მართალი გახლდათ.

მეორე სეტში გაშმაგებული ნალბანდიანი უმალვე იერიშზე გადავიდა და 3:0 რომ დაწინაურდა, მერე უკან აღარ გაუხედია.

მესამეში კი სადავეები კვლავ ვეტერანმა გადაიბარა. ანგარიში ისევ 4:1 და არგენტინელმა ისევ შეძლო, მეტოქეს წამოსწეოდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბებერმა ფაკირმა ბურთი გაჩხიბა და თვით ყველაზე გოთვერან კრიტიკოსებსაც კი პირში ჩოგანი გამოავლო.

მაშ ასე — სამი მატჩის შემდეგ მას ორი გამარჯვება დაუგროვდა, ნალბანდიანს მხოლოდ ერთი, ხოლო ორ მატჩში ორჯერვე ჩაფლავებული ხუან კარლოს ფერეროსა და როჯერ ფედერერის საბოლოტურო ბუქნაობას აზრი მხოლოდ სამათშორისო ანგარიშისთვის ჰქონდა.

ლევან კელაურაძე

გაიხადე და გაერთიანდი კმარა შევარდნა

აშშ-ისა და ევროპაში უსაფრთხო სექსის მიმდევარნი ფირმა „Carter Wallase-ის" მიერ გამოშვებულ „Trojan-ის" მარკის პრეზერვატივებსაც ხმარობენ.

ამ ბოლო დროს ფირმამ გადაწყვიტა, მეტი არატრადიციული სპორტი ჩაიხადე და გაერთიანდი სარფის სანახავად თავისი პროდუქცია რამენაირად სპორტთან დაეკავშირებინა. „Carter Wallase-ის" მარკეტოლოგებმა ამ საკითხზე ბევრი იფიქრეს და ბოლოს ძალზედ თამამი მისტიფიკაციის იდეამდე მივიდნენ. თუკი ინტერნეტში სათანადო მისამართს მიაკითხავთ, ასეთ ინფორმაციას წააწყდებით: თურმე ბუქარესტში ახლახანს წელს ქვევით გაშიშვლებულთა პირველი ოლიმპიური თამაშები გამართულა. თამაშებში თხუთმეტი ქვეყნის დელეგაციას უმონაწილევიათ და ყველაზე მეტი მედალი ამერიკელებს რგებიათ. ნათქვამის საილუსტრაციოდ საიტი რამდენსამე ვიდეოკლიპსაც გთავაზობთ, რომელზედაც სარცხვინელმოტიტვლებული წყვილები სპორტის რაგინდარა სახეობაში ჯომარდობენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ნებისმიერი წყვილის ჯომარდობას კაცისა და ქალის წელსქვევით გაერთიანება მოჰყვება... ამბობენ, მარტო ბოლო კვირის განმავლობაში საიტი „სპორტის არატრადიციული სახეობების" მილიონობით მოყვარულმა დაათვალიერაო. შესაბამისად, პრეზერვატივის პოპულარობაც უნდა გაზრდილიყო.

კასპაროვი მანქანა არაა

ადამიანი სტრატეგიულად ფიქრობს, გეგმებს აწყობს და პოზიციურად თამაშობს, კომპიუტერი კი მხოლოდ საუკეთესო ვარიანტებს ირჩევს და არაფერზე არ ნერვიულობს

ნიუ იორკის ატლეტიკ კლუბში კომპიუტერულმა პროგრამა „x3d fritz"-მა მეორე შეხვედრაში რუსი დიდოსტატი გარი კასპაროვი ოცდაცხრამეტ სვლაში დაამარცხა და ახლა 1,5:0,5 უგებს.

მეორე მატჩში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კასპაროვი დებიუტშივე შეცდა. მან კარგად ნაცად სიცილიურ დაცვაზე უარი განაცხადა და ჭკვიანი პროგრამის e4-ს e5-ით უპასუხა. საწყის სვლებში მეტოქეები იერიშებს მოერიდნენ და ჯერ საკუთარი ტერიტორიის გამაგრება დაიწყეს. მე-10 სვლაზე კომპიუტერი პაიკით იერიშზე გადავიდა და კასპაროვის შევიწროება დაიწყო, თუმც ადამიანმა შეძლო მდგომარეობის განმუხტვა. დაფაზე დროებით სიმშვიდემ დაისადგურა და ორივე მხარე მარჯვენა ფლანგზე მძიმე ფიგურების იერიშისთვის მომზადებას შეუდგა. ამ გადაადგილებებში კი ვერაგმა კომპიუტერმა დრო იხელთა და 28-ე სვლაზე კასპაროვის შესუსტებულ მარცხენა ფლანგს ლაზიერით დაერია. რუსმა დიდოსტატმა რამდენიმე სვლას გაუძლო, თუმც წყობა საერთოდ მოეშალა და დარტყმები მარჯვენა ფლანგიდანაც რომ მიიღო, დამარცხება აღიარა.

ლაშა გეგეჭკორი

გარი კასპაროვს კომპიუტერმა ხასიათი გაუფუჭა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge